იოსებ სიბოშვილი

სართიჭალის "კოლორიტები"

(ნაჭილი მესამე)

რუსთავი
2004

დიდი ილია ბრძანებდა: აწმყო, რომელსაც ძველთა ღმერთის, იანუსისამებრ ორი თავი აქვს, ერთით უკან იცქირება და მეორეთი წინ,-ო. იოსებ სიბოშვილის წინამდებარე წიგნიც - "სართიჭალის კოლორიტები" - სიყვარულითა და რუდუნებით გადებული ხიდია ამ დიდებულ წარსულსა და მომავალს შორის, რომელიც ადამიანის გულებს აერთებს და ადუღაბებს. ის არა მარტო პატივმიმგებია იმ შესანიშნავი ადამიანების ფასდაუდებელ ღვაწლისადმი, არამედ სანიმუშო მაგალითია მომავალი თაობისადმი, თუ როგორ უნდა იცხოვრონ და დაიხარჯონ ქვეყნისადმისამსახურად. ისევ დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ: " შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მის მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიცნია კეთილად და რა კეთილი ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა, და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თვითონ შვილი რაც გინდა მხნე და გამრჯე იყოს, ამ წუთისოფელში ვერას გახდება."

ამ წიგნით სართიჭალელ ახალგაზრდებს ბატონმა იოსებმა ხელლისგულზე დაუდო თავიანთი მამებისა და პაპებისა და პაპების გუშინდელი დღე, მისი აწმყო და მშვენიერი ორიენტირი მისცა მომავლის გზაზე ღირსეულად სიარულისთვის.

ავტორი დიდ მადლობას უხდის სოფელ სართიჭალის მკვიდრს, ბატონ იოსებ ოქრუაშვილს, წიგნის გამოცემაში დიდსულოვანი დახმარებისათვის.

წიგნის გამოცემის ორგანიზაციული საკითხების ოპერატიულად მოგვარებისათვის ავტორი დიდდ მადლობას უხდის ქალბატონ ნინო ლურსმანაშვილს.

© იოსებ სიბოშვილი, 2004 წ.

ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

საოცარია ჩემო მკითხველო და გამკითხველო, ბოლო ჟამში წუთისოფელში ელვის უსწრაფესად ვითარდება მოვლენები. აგერ, "ვარდების რევოლუციასაც" მოვესწარით. ვინ იფიქრებდა, რომ ასე ხუხულასავით დაიშლებოდა მოქალაქეთა კავშირი და მისი თანამოაზრე პარტიები. ისინი ხომ თვით დიდი კომუნისტური პარტიის კურსის გამგრძელებლები იყვნენ.

კომუნისტური პარტიისა და მოქალაქეთა კავშირის იდეოლოგია ისეთივე მსგავსი იყო, როგორც თავის დროზე კომუნისტური პარტიისა და ჰიტლერული სოციალ-დემოკრატებისა, ანუ იყვნენ სოციალისტი ლენინელები და სოციალისტი ჰიტლერელები. მიუხედავად იმისა, რომ მათი იდეოლოგია და მიზნები ერთი და იგივე იყო, ჰიტლერელები თვლიდნენ, რომ მათი სოციალიზმი სწორი იყო, ხოლო საბჭოთა კავშირისა კი დამახინჯებული. მაგრამ კომუნისტებიც ხომ ასე ფიქრობდნენ, რომ მათი სწორი იყო, ხოლო ჰიტლერელებისას გადახრები ჰქონდა. ორივე ქვეყანაში ყველაფერი სიძულვილზე იყო აგებული. ეს ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა იცოდნენ, მაგრამ კომუნისტები ამ სიძულვილს გერმანიაში რასობრივს ეძახდნენ, ხოლო თავისთან - კლასობრივს. ჰიტლერელები თავის-თავს უმაღლეს რასად თვლიდნენ, ხოლო კომუნისტები უმაღლეს კლასად.

დიდია ვითომ განსხვავება?

ნუ დავივიწყებთ, რომ ჰიტლერის იდეოლოგიური მამა- გოტფრიდ ფედერი იყო, რომელიც მსოფლიოს რევოლუციისაკენ ჩვენთვის მეტად ნაცნობი ლოზუნგებით მოუწოდებდა-"პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

შემეპასუხებიან ალბათ: ჰიტლერი ყოველთვის არ იყო მარქსისტული დოგმების ერთგული, ყველაფერში მარქსის მიმდევარი არ იყოო. გადახრები ჰქონდაო. შეიძლება ასეც იყო, მაგრამ თვით მარქსი ყველაფერში თავისი მოძღვრების მიმდევარი იყო? განა თვითონ მარქსი არ ეწინააღმდეგებოდა თავის თავს? განა სიცოცხლის ბოლოს იგი თავის მოძღვრების სრულ უარყოფამდე არ მივიდა? "მე მარქსისტი აღარა ვარ"-განა ეს მარქსმა არ თქვა?

როგორც ჩანს მარქსს ეყო გამბედაობა, რათა უარი ეთქვა ამ აბსურდულ თეორიებზე, რომელიც საფუძველი გახდა კომუნისტური და ჰიტლერული სახელმწიფოების შექმნისა. ბოლოს კი ამ ორი ქვეყნის იდეოლოგიამ ასახვა ჰპოვა ერთ სატანისტურ მიმდინარეობაში, რომელსაც 1990-იან წლებში მოქალაქეთა კავშირი ეწოდა. ამ სამივე ერთმანეთის მსგავს მიმდინარეობას, მარქსივით უარი არ უთქვამთ თავის მავნე იდეოლოგიასა და საქმიანობაზე, განსაკუთრებით კი მოქალაქეთა კავშირს.

ყველაფერი კი დამთავრდა მაშინ, როდესაც "ვარდების რევოლუციის" შედეგად, საქართველოს თავზე ქრისტეს ჯვარცმა, ანუ

ხუთჯვრიანი დროშა დაიდგა. თუ კომუნისტები და მათი “გადემოკრატებული ნარჩენები” გვასწავლიდნენ ისე, როგორც აზროვნებს მთვრალი, რომელსაც გრძნობები ამოძრავებს და არა გონება, ვფიქრობთ და გვინდა გვჯეროდეს, რომ დადგა დრო მოგვეცეს უფლება მოვლენებს შევხედოთ ფხიზელი თვალით და არა მთვრალის ცრემლების მიღმა.

“სართიჭალის კოლორიტების” ამ წიგნში ჩვენ გვინდა წარმოგიდგინოთ იმ ადამიანების ცხოვრება და მოღვაწეობა, რომლებიც პატიოსნად, უანგაროდ ემსახურებოდნენ კომუნისტების დ მათი “ნარჩენების” სახელმწიფო წყობას, იმ იმედით, რომ თავიანთი პატიოსანი ბუნებიდან გამომდინარე ეგონათ საერთო საქმეზე ზრუნავდნენ, თუმცა მწარედ მოტყუებულნი დარჩნენ. სოფელმაც მიივიწყა ისინი, როგორც სხვა “კოლორიტები”. ეს კი ჩვენს მცირედმორწმუნეობაზე მეტყველებს - “უთხრა მათ იესომ: ნუთუ არასოდეს ამოგიკითხავთ წერილში: ქვა, რომელიც დაიწუნეს მშენებლებმა, კუთხის თავად დაიდვა? უფლის მიერ იქმნა ეს, და საოცრებად უჩანს ჩვენს თვალს”. (მათე 21, 42).

ღმერთო, შეგვინდევ შეცოდებანი ჩვენი, დაილოცოს შენი ძალა და სამართალი, სახელი და დიდება უკუნისამდე, ამინ!

“რომელსა ჰქონან ყურნი, ისმინენ...”

(გამოცხ. 13.9.)

“ხოლო უკუეთუ ვინმე უმეცარ არს, უმეცარ იყავნ”

(1კორ. 14. 38.)

ესთერ გიორგის ასული აბდიშიდი-დოცენკო (1897-1981)

სიმონ (სენია) ეფიმის ძე დოცენკო (1887-1954)

"არ გაუმჟღავნებია ესთერს თავისი ერი
და სამშობლო, რადგან დაარიგა მარდო-
ქაიმ, არ გაემჟღავნებინა." (ესთ. 2. 10.)

ნათქვამია სამყაროს საიდუმლოებანი ღმერთის მიერ ქართულ ანბანში იქნა ჩადებული. ადამიანთა მოდგმას ეს უნდა სცოდნოდა მამაზეციერიდან ჩამოსვლისას, თორემ დედამიწიდან ისინი სამყაროში გამხედველები აღარ იყვნენ, რასაც მიწაზე მიჯაჭვული ამირანის თქმულებით ადასტურებს გამჩენი.

ეს საიდუმლო, ინდოევრო-პელთა ექსპანსიის შემდეგ, ქართული ენის დამარხვითა და პრომეთე-ამირანის კავკასიონზე მიჯაჭვით დაიფარა. იბერიულ-კავკასიური მოდგმის კონცენტრაცია ძირითადად ახლანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა. შემდეგ მათ შემოუერთდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ერები. ეს პროცესი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა და ახლაც გრძელდება, ვინაიდან საქართველო წმინდა მიწაა და აქ მოსული სხვადასხვა ეროვნების ადამიანები უფლის წყალობას, აქ, ღმერთის მიერ კურთხეულ მიწაზე ელოდებიან.

ასე რომ ისტორიული ქარტეხილების დროს, სხვადასხვა ქვეყნებიდან დევნილი მოსახლეობისათვის საქართველოსკენ მომავალი გზა უცხო არ იყო და არც ქართველები იყვნენ ის ხალხი, რომ მათ მასპინძლობაზე უარი ეთქვათ. სწორედ თავის გადარჩენის მიზნით მოადგა 1902 წელს გიორგი აბდიშიდი საქართველოს საზღვარს სარფში. ეთნიკური კომფლიქტის ნიადაგზე ირანიდან გამოქცეულმა გიორგიმ, სარფიდან ცოლ-შვილი თბილისისაკენ გამოამგზავრა, ხოლო თვითონ დროებით თურქეთში გაჩერდა, საიდანაც შემდეგ შოტლანდიაში წავიდა და იქ დარჩა სამუდამოდ. ქმრის მფარველობას მოკლებულმა მარიამ (მანონი) აბდიშიდმა, მცირეწლოვან ესთერთან და ანტონთან ერთად თბილისში ვერ შეძლო დაფუძნება და მოსამსახურედ ყარაბულახელ[1] თავადს თადეოზ (თადია) ჩოლოყაშვილს დაუდგა. თავადი მალე დარწმუნდა მარიამის პატიოსნებაში და მას თავისი სამეურნეო ქონების შენახვა და მეთვალყურეობა დაავალა.

ჩოლოყაშვილების კარზე სამსახურმა და ცხოვრებამ განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა ესთერზე და ანტონზე. ცნობილია, რომ თადია ჩოლოყაშვილის ოჯახი იმ დროინდელ საზოგადოებაში გამოირჩეოდა მაღალი კულტურით და განათლებით. აქ ინახებოდა უმდიდრესი ქართული, რუსული და ფრანგული ბიბლიოთეკა. თადეოზთან ხშირად სტუმრობდნენ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები. ილია ჭავჭავაძე თავადის ერთ-ერთი ქალიშვილის, მელიტას ნათლია გახლდათ. ჩოლოყაშვილების ოჯახში ბავშვების აღზრდას და განათლებას დიდი ყურადღება ექცეოდა. უცხო ენებიდან უპირატესობა ფრანგული ენის შესწავლას ენიჭებოდა. როდესაც თავადის ქალიშვილებს (ისინი ოთხნი იყვნენ: მელიტა, დარეჯანი, ელენე, ნიუთა) მასწავლებელი ამეცადინებდა, ესთერი მუდამ სამეცადინო ოთახის კარებთან იყო ატუზული და უსმენდა გაკვეთილებს.

---

[1] სოფელ ყარაბულახისა და მისი უკანასკნელი თავადის თადეოზ (თადია) ჩოლოყაშვილს ცხოვრება და მოღვაწეობა ასახულია "სართიჭალის კოლორიტების"პირველ წიგნში.

ერთხელ თადია ჩოლოყაშვილს შეუნიშნავს ესთერი და მისკენ წასულა. გოგონა შემკრთალა, თითქოს უღირს საქციელზე წაასწრესო, გაწითლებულა და თავი დაუხრია.
-- ესთერ! რას აკეთებ აქ? -- უკითხავს თავადს.
მიუხედავად მოკრძალებული მიმართვისა, ესთერს უფრო შეშინებია და აკანკალებული ხმით უთქვამს:
-- ვუსმენ, ბატონო, მათ საუბარს და ვიმახსოვრებ.
-- ესე იგი მოგწონს?
-- დიახ.
-- მაშ ისწავლი, რომ დაგასწრო გაკვეთილებს?
-- დიახ, ბატონო. -- სიხარულისაგან ძლივს გამოუთქვამს სიტყვები ესთერს.

თადიას ბავშვისთვის ხელი მოუკიდია, შეუყვანია ოთახში და თავის შვილების გვერდით დაუსვამს სამეცადინოდ. მან სწავლისადმი შესაშური სწრაფვა გამოამჟღავნა. ესთერი ბრწყინვალედ ფლობდა ფრანგულ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებს. იცოდა სასაუბრო გერმანული.

ესთერმა თავად ჩოლოყაშვილს არ დაუკარგა პატივისცემა. კომუნისტების მოსვლის შემდეგ წოდება და ქონება ჩამორთმეული თადია ხშირად აკითხავდა ესთერს და მისგან პური და სხვადასხვა პროდუქტები მიჰქონდა, ქალბატონი ესთერი მისთვის არაფერს იშურებდა.

პოლიტიკური არეულობის გამო, მარიამი შვილებითურთ ისევ თბილისში ბრუნდება და სახლდება გოგოლის ქუჩაზე. შემდგომ მათი მეზობლები ხდებიან შესანიშნავი კომპოზიტორი გოგი ცაბაძე და ბრწყინვალე პოეტი მურმან ლებანიძე. ესთერი სწავლას აგრძელებს თბილისის სასულიერო გიმნაზიაში, სადაც მას გალობას ასწავლიდა სახელოვანი კომპოზიტორის, ზაქარია ფალიაშვილის ძმა ივანე. ხოლო ანტონი სასწავლებლად მიაბარეს კირკის ქუჩაზე (ახლანდელი მარჯანიშვილის) მდებარე გერმანულ სკოლაში.

დაახლოებით 1915 წელს ესთერმა ვერაზე მდებარე ლურჯ მონასტერში ჯვარი დაიწერა უკრაინელ სიმონ (სენია) დოცენკოზე, რომელიც განაწილებით მსახურობდა თბილისის სამხედრო ნაწილში ფერშლის თანამდებობაზე.

ესთერს, მიუხედავად იმისა, რომ გათხოვდა და ოჯახი შექმნა, სწავლისთვის თავი არ დაუნებებია. მან სწავლა განაგრძო ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ფარმაცევტულ ფაკულტეტზე და იყო საქართველოს პირველი უმაღლესი სასწავლებლის პირველი კურსდამთავრებული. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის სხვადასხვა აფთიაქებში პროვიზორად. 1921 წლიდან ესთერი სამუშაოდ გადმოჰყავთ სოფელ სართიჭალის აფთიაქში გამგის თანამდებობაზე. იგი თავის მეუღლეს, რომელსაც სამხედრო სამსახური უკვე დამთავრებული ჰქონდა, აგზავნის მოსკოვში სასწავლებლად. სენია დოცენკომ სწავლა დაიწყო მოსკოვის “პირველ” სამედიცინო ინსტიტუტში (იმ დროს ძალიან პრესტიჟული სასწავლებელი იყო), რომელიც დაამთავრა სამკურნალო სპეციალობით. სენია დღისით სწავლობდა, ხოლო ღამით რკინიგზის სადგურზე მუშაობდა მტვირთავად, რომ თავი ერჩინა. შემდეგ სენია დოცენკო ჩამოვიდა სართიჭალში, გახსნა საექიმო ამბულატორია და გახდა სოფლის პირველი ექიმი. იგი ემსახურებოდა აგრეთვე კრასნოგორსკის, ხაშმის, მუღანლოს და სხვა სოფლების მოსახლეობას. იგი ავადმყოფებთან პირველივე გამოძახებისთანავე ცხადდებოდა, ხოლო სატრანსპორტო საშუალებად იყენებდა ცხენს და ველოსიპედს.

ცოლ-ქმარი ცხოვრობდა პატარა ფიცრულ საექიმო ამბულატორიაში. შემდეგ, ადგილობრივმა გერმანელებმა, მათ სახლი აუშენეს ტელმანის ქუჩაზე (ახლანდელი დავით აღმაშენებლის ქუჩა), რომელიც დღემდე შენარჩუნებულია პირვანდელი სახით.

ესთერის ძმამ, ანტონმა დაამთავრა გერმანული სკოლა და გერმანული ენის მასწავლებლად მუშაობდა სართიჭალის საშუალო სკოლაში.

ესთერის დედა, ქალბატონი მარიამი, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ყველანაირად გვერდში ედგა და ხელს უწყობდა, რათა ახალგაზრდებს თავიანთი ძალა და ენერგია ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოეყენებინათ. იგი მათ შვილებს გიორგის (ჟორას) და ანატოლის (ტოლია) უვლიდა. ისინი თბილისში ცხოვრობდნენ. ბიჭებმა საბავშვო ბაღის შემდეგ სწავლა განარგძეს გერმანულ საშუალო სკოლაში, რომელიც ჟორამ დაამთავრა, ხოლო ტოლიამ მხოლოდ- შვიდი კლასი, რადგან სკოლა დაიხურა და მან სწავლა განაგრძო და დაამთავრა რუსული 24-ე საშუალო სკოლა.

უნდა აღინიშნოს, რომ ტოლია დოცენკო გერმანულ სკოლაში ლავრენტი ბერიას შვილთან, სერგოსთან ერთად სწავლობდა. ისინი მეგობრები იყვნენ. მათი მეგობრების შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ესთერ დოცენკომ სართიჭალის აფთიაქის გამგედ იმუშავა სამი ათეული წელი. 1950 წელს სწორედ აქედან გააცილეს მადლიერმა პაციენტებმა პენსიაზე. ესთერი სამსახურებრივ საქმიანობასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა. წლების მანძილზე გახლდათ სახალხო სასამართლოს მსაჯული, სხვადასხვა დროს არჩეული იყო სასოფლო საბჭოს დეპუტატად. პენსიაზე გასვლის შემდეგ, იგი კვლავ დარჩა სართიჭალის სასოფლო საბჭოს აღმასკომის პირველადი პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობაში (1920--იან წლებში მას პარტ-უჯრედი ერქვა), რომლის პირველი მდივანიც 1926 წლიდან თვითონ გახლდათ. ესთერ დოცენკო, სოფლის საჭირბოროტო და სასიკეთო საკითხების გადაწვეტისას, ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებული მომთხოვნელობითა და პრინციპულობით ყველას მიმართ. მისი ცხოვრების სტილი იყო გერმანული და პლიუს კომუნისტური მორალი. პენსიაზე გასული ესთერისგან ხშირად გაიგონებდით ამ სიტყვებს: “მთავრობა რატომ გვაძლევს პენსიას? ეს ხომ ბიუჯეტს აკლდება. ყველა პენსიონერმა ჩემსავით იმუშაოს საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთში და თვითონ მოიპოვოს სარჩო-საბადებელი.” მას მართლა შესანიშნავი ბაღი ჰქონდა, სადაც გამოჰყავდა ვარდების და ყვავილების ჯიშები. ასეთი ბაღი არც მანამდე ყოფილა სართიჭალაში და არც მას შემდეგ. ადგილობრივი მცხოვრებნი, თუ ჩამოსული სტუმრები როდესაც მის სახლთან გაივლიდნენ, ყოველთვის ჩერდებოდნენ, ვარდებისა და ყვავილების სილამაზითა და სურნელით ტკბებოდნენ. საოცარი ქალბატონი იყო ესთერი, წყლისა და შაქრის ეკონომიას აკეთებდა - “ქვეყანას დააკლდებაო”.

ქართულ ენას ფლობდა შესანიშნავად, იცავდა მის სიწმინდეს. ესთერის რძალმა ქალბატონმა ციალა იოსავამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა: “ ერთხელ ჩემი დედამთილი მაღაზიაში მიდიოდა პურის მოსატანად. ეზოდან დამიძახა: “შვილო ციალა, მაგიდაზე ბადე დევს და მომაწოდეო” მე შევედი სახლში და რატომღაც ვეძებდი რაღაც დიდ ბადეს. რომ დავაგვიანე გარეთ გასვლა, თვითონ მობრუნდა და მაგიდიდან აიღო პატარა ბადე, რომელსაც ჩვენ “სეტკას” ვეძახდით და მივიწყებული გვქონდა, რომ ამ საოჯახო ნივთს ქართულად ბადე ერქვა. მისგან ვერ გაიგონებდით იმ დროს ჩვეულებად ქცეულ გამონათქვამებს: პოლი, კუხნა, შკაფი, გრაფინკა და სხვა. როდესაც მე მათი რძალი გავხდი, სიამაყით ავღნიშნე, რომ ჩემი წინაპრები სასულიერო პირები იყვნენ. ესთერს შევატყვე, რომ არ ესიამოვნა. მე ენაზე ვიკბინე, მერე გამახსენდა, რომ ის კომუნისტი იყო. მაგრამ ბოლომდე მაინც არ მჯეროდა, რომ ის ღვთის მგმობი იქნებოდა. როდესაც ჩემი

მეუღლე ცუდად იყო, დედამთილმა გამანდო, რომ შვილის გადარჩენას უფალს სთხოვდა და თან მალულად მარხვას ინახავდა. არც არის გასაკვირი, იგი ხომ სასულიერო გიმნაზიაში სწავლობდა და თან ჩოლოყაშვილების კარზე იზრდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ესთერი მუდამ მკაცრი იყო ოჯახის წევრების მიმართ, ყველაზე დიდი მიმტევებელიც გახლდათ.”

სოფლის ერთ-ერთი “კოლორიტი” ნაზი დოხტურიშვილი 1981 წლის 23 მაისს გაზეთ “სამგორში” წერდა: “. . . სართიჭალაში პირველი ინტელიგენტი ქალი - ესთერ დოცენკო იყო. . . მადლიერი თანასოფლელები იგონებდნენ მის მიერ გახსნილ პირველ აფთიაქს. როგორ ედგა გაჭირვებულ სოფელს მხარში. მისთვის სამუშაო საათები არ არსებობდა. მეტად მძიმე იყოვო მაშინ ფარმაცევტის შრომა. ხელით უხდებოდა მრავალი წამლის დაფქვა და განაწილება”.

სართიჭალელების გადარჩენა ღვთის ნება რომ არ ყოფილიყო, მას მხსნელად ცოლ-ქმარს ესთერს და სიმონ დოცენკოებს არ მოუვლენდა. ბატონი ერისტო სებისკვერაძე იხსენებს: “სართიჭალაში მალარია მძვინვარებდა. რომ არა დოცენკოები, ბევრი ადამიანი დატოვებდა უდროოდ ამ ქვეყანას. ოცდაოთხი საათის განმავლობაში, როცა გინდა მისულიყავი სენია ექიმთან, ის მზად იყო მაშინვე ავადმყოფთან წამოგყოლოდა, ღამე ქუჩის მხრიდან ფანჯარაზე დააკაკუნებდნენ ხოლმე ავადმყოფის პატრონები და ისიც მაშინვე გამოხედავდა, მისთვის წვიმა, თოვლი, ქარი წინაღობას არ წარმოადგენდა. სწრაფად რომ მისულიყო ავადმყოფთან, მოძრაობდა ხან ცხენით და ხან ველოსიპედით.”

სენია ექიმის შესახებ, 1977 წლის სექტემბერში, გაზეთ “სამგორში” საინტერესო სტატია გამოაქვეყნა სართიჭალის საშუალო სკოლის პედაგოგმა, სენია დოცენკოს რძალმა ქალბატონმა ციალა იოსავამ:

“ხანდაზმული ადამიანები სიყვარულით ჰყვებიან სოფლისათვის უანგარო, კაცთმოყვარე ადამიანის - სიმონ დოცენკოს შესახებ. სიმონ ექიმი თერაპევტიც იყო, ქირურგიც, პედიატრიც, გინეკოლოგიც და სტომატოლოგიც. ერთი წუთით ვერ ნახავდით მოცლილს, ფუტკარივით დაფუსფუსებდა შინ და გარეთ. მან მრავალი ადამიანის სიცოცხლე გამოსტაცა სიკვდილს. თავაზიანი, კეთილი, ტკბილად მოსაუბრე კაცი იყო. წინ რომ შეგვხდებოდათ, სალამს ვერ დაასწრებდით..... სართიჭალელ ექიმებსაც ახსოვთ უფროსი მეგობარი, ქართველი და უკრაინელი ხალხის ღვიძლი შვილი, ხალასი გულის ადამიანი სიმონ დოცენკო. არც თუ დიდი ხანი იმუშავეს მასთან გ. ჩანტლაძემ, მ. დოხტურიშვილმა, თ. ქოიავამ, თ. უდუმაშვილმა, ბ. მეხაშიშვილმა და ნ. ბუჩუკურმა. თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებულმა კაცმა, კარგმა სპეციალისტმა, გამოცდილების დიდი მარაგი დაუტოვა უმცროს კოლეგებს.

-- ყველაფერი, რაც თვითონ იცოდა, -- იგონებდნენ მისი თანამშრომლები, ჩვენც გადმოგვცემდა. . . თუ კი ავადმყოფს სჭირდებოდა, დღე და ღამეს სასთუმალიდან არ მოშორდებოდა, მანამ ივლიდა პაციენტთან, სანამ ფეხზე არ წამოაყენებდა, ხშირად სახლიდან მიჰქონდა ავადმყოფთან საჭმელ-სასმელი, საჭირო წამლები, მედიკამენტები....”

ესთერ და სიმონ დოცენკოები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივ საქმიანობაში. ძველად სართიჭალელები სასმელ წყალს მდინარე ივრიდან ეზიდებოდნენ. გერმანელების ჩამოსვლის შემდეგ, სოფელში ჭები მომრავლდა. 1930-იან წლებში კომუნისტებმა სპეციალური დადგენილება გამოსცეს საქართველოს სოფლების სასმელი წყლით უზრუნველყოფის შესახებ. რა თქმა უნდა, აღნიშნული დირექტივა სართიჭალასაც შეეხო. საქმეს სათავეში ჩაუდგა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ესთერ დოცენკო. უმოკლეს ვადებში სოფელს სასმელი წყალი გაუჩნდა. იმდენად ბრწყინვალედ შეასრულა დავალება ესთერმა, რომ მის სანახავად მთავრობიდან

თვით მიხა ცხაკაია ჩამოვიდა. სოფლის დათვალიერების შემდეგ, მიხა ცხაკაიას საპატივცემულოდ, დოცენკოების ოჯახში გაიმართა სადილი, სადაც მოხდა ერთი კურიოზი. შესანიშნავი სუფრა გაშალა ესთერმა და ცხაკაიას საპატივცემულოდ მოამზადა ღომი. მიხას და მის თანმხლებ პირებს ძალიან გაუხარდათ, ცხელი ღომი რომ მიართვეს, ხოლო სართიჭალელებმა და მით უმეტეს უკრაინელმა სიმონ დოცენკომ ცოტა შორიდან შეათვალიერეს, მათი სუფრისათვის განკუთვნილი ეს "უცხო ხილი". სენიამ გემო გაუსინჯა ღომს და უმალვე ესთერი იხმო. აქეთ-იქით გაიხედა და ჩურჩულით რუსულად უთხრა მას:

-- ესთერ! როგრც ჩანს, ამ ფაფისათვის მარილის მოყრა დაგვიწყებიათ და სტუმრებთან უხერხულია. რა ვქნათ?

ესთერს გაეღიმა. უნებურად სტუმრებისაკენ გაიხედა, ვინმემ ხომ არ გაიგონაო. მაგრამ მიხა ცხაკაია და სხვა სტუმრები ისე იყვნენ გართულნი ღომისა და საცივის ჭამით, რომ მოსასმენად არავისთვის ეცალათ. ესთერი ქმარს მიუბრუნდა და დაბალ ხმაზე უპასუხა:

-- სენია ამას მარილი არ უნდა. თუ გინდა ჭამე, თუ არა და ხმა აღარ ამოიღო.

სიმონ დოცენკო 1954 წელს გავიდა ამ წუთისოფლიდან, ხოლო ესთერი - 1981 წელს. ისინი სართიჭალაში, ქართულ მიწაზე განისვენებენ, სწორედ იმ მიწაზე, რომელმაც საკუთარი შვილებივით შეისისხლხორცა და შეიყვარა ეს უცხო ერის მადლიერი ადამიანები. მათ სახელს სართიჭალაში არასოდეს დაივიწყებენ.

დედ-მამის ტრადიციები ღირსეულად გააგრძელა დოცენკოების უმცროსმა ვაჟმა ანატოლიმ, რომელიც ნამდვილად იმსახურებს იყოს სართიჭალელი "კოლორიტების" გუნდის წარმომადგენელი.

ანატოლი (ტოლია) სიმონის ძე დოცენკო (1923-1983)

დაიბადა თბილისში. დაამთავრა 24-ე რუსული საშუალო სკოლა (შვიდწლედი გერმანულ სკოლაში ჰქონდა დამთავრებული). სწავლა განა-გრძო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც დაამ-თავრა 1951 წელს.

ახალგაზრდა სპეციალისტი სამუშაოდ გაიგზავნა გაგრის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც 1953 წლამდე მუშაობდა უბნის აგრონომად.

გაგრიდან ტოლია დოცენკო გადაიყვანეს ლაგოდეხში ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის გამგედ. 1961 წლიდან კი გარდაცვალებამდე მუშაობდა საგარეჯოში ჯიშთა გამოცდის ნაკვეთის ხელმძღვანელად. 1982 წელს მას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული აგრონომის საპატიო წოდება.

ცნობილია, რომ სართიჭალაში გერმანელი შვაბების შემდეგ, მევენახეობის განვითარებაზე და განსაკუთრებით ყურძნის ახალი ჯიშების შემოტანაზე არავის უფიქრია (კარგად მოგეხსენებათ შვაბებმა შესანიშნავი ვენახები გააშენეს ცუგროვანში (გერ. "ცუკერვაინი") და დღეს ხაშმის საფერავად ცნობილი, წითელი ყურძნის ჯიში შემოიტანეს საფრანგეთიდან, რომლისგანაც დღესაც უნიკალურ ღვინოს აყენებენ).

გერმანელების შემდეგ სართიჭალაში, პირველად, ტოლია დოცენკომ გადადგა მეტად რისკიანი ნაბიჯი და თავის ჯიშთა გამოცდის ნაკვეთში მოლდავეთიდან შემოიტანა ვაზის ახალი ჯიშები. ასეთ განსაკუთრებულ საქმეს არც ერთი ადამიანი არ მოკიდებს ხელს, თუ მას პროფესიონალიზმთან ერთად, წინაპრებიდან გადმოცემული ტრადიციები არ უწყობს ხელს. ჩვენ დღეს ბატონი ტოლიას გენეოლოგიას არ შევეხებით, რადგან დაწერილია წმინდა წერილში: “ არ გაუმჟღავნებია ესთერს თავისი სამშობლო და ერი, როგორც დარიგებული იყო მარდოქაისაგან. ახლაც ისევე ასრულებდა ესთერი მარდოქაის სიტყვას, როგორც მაშინ, როცა მის მეურვეობაში იყო.” (ესთ. 2. 20.) მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს. დიდი ილია ბრძანებდა: “ ორი რამ მისცა ქართველმა კაცმა მსოფლიოს, ღვინო და რკინა და ორივე დარჩა მის ბუნებაშიო.” ვაზი და ღვინო საიდან უნდა ყოფილიყო ჩადებული ამ კაცის გენში? ვფიქრობთ ეს გამოკვლევა ისევ შუამდინარეთამდე მიგვიყვანს, რის შესახებაც ჩვენ შემდგომ წიგნებში გვექნება საუბარი.

დავუბრუნდეთ ბატონი ტოლიას საქმიანობას და მისი შემოქმედების უკეთ გაცნობის მიზნით, ისევ მის ნაშრომებს გადავხედოთ:

“1972 წელს მოლდავეთიდან გამოსაცდელად მივიღეთ სამი ჯიშის ვაზი, მათგან ერთი - “მოლდავეთის მუსკატი” საღვინე ჯიში იყო.

ამ ჯიშის გამოცდამ გვიჩვენა, რომ იგი საგარეჯოს რაიონისათვის და საერთოდ გარე კახეთისათვის ხასიათდება დადებითი თვისებებით და მისი გავრცელება დიდ ეკონომიურ ეფექტს მოგვცემს.

“მოლდავეთის მუსკატზე” გამოცდის პერიოდში არ ჩაგვიტარებია მავნებლების საწინააღმდეგო არც ერთი მკურნალობა და ამ პერიოდში არც ერთი სახის მავნებელი არ გაკარებია ვაზს.

აღნიშნული ჯიში ძლიერი ზრდით არ ხასიათდება, სამაგიეროდ იგი დასხმის მაღალი კოეფიციენტით გამოირჩევა და მსხმოიარობაში შედის სექტემბრის პირველ დეკადაში, სრული სიმწიფის დროს შაქრიანობა და სიმჟავე ნორმალურია.

ამ ჯიშის ყურძენს შეუძლია დიდხანს ესხას ვაზზე და შეინარჩუნოს მაღალი შაქრიანობა, მისი დადებითი თვისება ის არის კიდევ, რომ რაც დიდხანს ასხია ყურძენი ვაზზე, მით უფრო მატულობს მისი შაქრიანობა.

საცდელ ვაზზე მაგალითად, 8 სექტემბერს ყურძნის შაქრიანობა იყო 19,3 პროცენტი, ხოლო 26 სექტემბერს შაქრიანობამ მიაღწია 26,8 პროცენტს. რაც შეეხება სიმჟავეს, იგი არ დაწეულა ნორმის ქვემოთ.

ჩვენს პირობებში ამ ჯიშს შეუძლია მოგვცეს ერთ ჰექტარზე საშუალოდ 150-დან 170 ცენტნერი ყურძენი. თუ ვაზს საშუალოდ დავტვირთავთ 16-18 კვირტამდე, მაშინ მოსავალი ერთ ჰექტარზე შეგვიძლია ავიყვანოთ 16-18 ტონამდე.

1981 წლიდან აღნიშნული ჯიშიდან საცდელად დავაყენეთ ღვინო. დეგუსტაციის შედეგად გამოირკვა, რომ ღვინის მასალა უმაღლესი ხარისხისაა. როგორც ახალგაზრდა ღვინოს, მას დაეწერა 8,4 ქულა. იგი რქაწითელს ჩამორჩა მხოლოდ 0,2 ქულით....

გადაწყვეტილი გვაქვს გარდა მუსკატისა, მოლდავეთიდან საგამოცდოდ მვიღოთ დაავადებებისადმი უფრო გამძლე და უფრო მოსავლიანი ჯიშები. ასეთი ჯიშებია: «სურუჩუნის თეთრი”, «ონიცკანის თეთრი” და სხვა. ეს ჯიშები იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ რქაწითელზე ადრე მწიფდებიან, მაგრამ მუსკატზე გვიან შედიან სიმწიფეში.

ჩვენი ცდის პროცესში მოვახდინეთ მოლდავეთისა და ჩვენს ნაკვეთზე მოყვანილი ყურძნის აღნიშნული ჯიშების მონაცემების შედარება. აღმოჩნდა, რომ ჩვენი კლიმატური პირობები ამ ჯიშისათვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მოლდავეთში.

ამგვარად, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ახალი ჯიშის დანერგვა გამოგვათავისუფლებს შხამქიმიკატების შესხურებისაგან, დიდძალი თანხა და სამუშაო დრო დაიზოგება, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით დიდ მოგებასაც მოგვცემს.

ჯიშთა გამოცდის ნაკვეთში გამოცდილი 49 ჯიშიდან ვერც ერთმა ჯიშმა ვერ გაუძლო ჩვენს ჯიშებთან კონკურსს, გარდა ბუდეშურისებური საფერავისა და მოლდავური მუსკატისა.იმ დროს, როცა რქაწითელი, რომელსაც მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად დიდი ხარჯები სჭირდება და ყურძენიც მალე კარგავს შაქრიანობას, მოლდავური მუსკატი, პირიქით ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს, დაავადებების მიმართ გამძლეა და ყურძენიც დიდხანს ინახავს თავის თვისებებს, ამავე დროს იგი ადრეული ჯიშია და ვენახების დამუშავების შემდგომი პაუზა არ სჭირდება, პირიქით შეიძლება კრეფაზე გადასვლა.

მუსკატთან ერთად ჩვენი მიზანია, ფართო გზა დავუთმოთ მოლდავურ ონიცკანურ თეთრსაც, რომელიც ასევე კარგი თვისებებით ხასიათდება და ჩვენი მიკროზონისათვის დიდ ეფექტს იძლევა.”

ტოლია დოცენკო თავდაუზოგავად მუშაობდა ადგილობრივი ჯიშების მოსავლიანობის გაზრდისათვის. 1964, 1965, 1967, 1970, 1971 და 1973 წლებში რქაწითელის საშუალო მოსავლიანობამ 125.5 ცენტნერი შეადგინა ჰექტარზე, ცოლიკაურმა = 153.1, კრახუნამ = 150.1, მწვანემ = 125.6, მწვანე ¹ 12-მა = 112.2, გრძელმტე-ვანამ = 128.3, ჩიტისთვალამ, რქაწითელი ვარდისფერმა, ალიგოტემ = 110 ცენტნერამდე გაასწორეს საშუალო მოსავლიანობა: ჩინურმა, მგალობლიშვილმა, ძველშავმა, ძველშავა ობჩურმა, დონდღლაბმა = 113-118 ცენტნერი.

საქმიანი კაცი იყო ტოლია, სულ ფუსფუსებდა, მოუსვენარი იყო, ძველი “ჭიჭიკო” მოსკვიჩი ჰქონდა. უკანა სავარძელთან ბოცას ამაგრებდა ხოლმე, სადაც ყოველთვის ღვინო ჰქონდა ჩასხმული, ან ახალი ყურძნის ჯიშისაგან დამზადებული, ან კიდევ ძველი, ტრადიციული. თუ ვინმეს სურვილი გაუჩნდებოდა, მაშინვე დააჭაშნიკებინებდა ხოლმე.

უყვარდა სპორტი და ნადირობა. ჯერ კიდევ ბავშვობაში შესანიშნავად თამაშობდა ფეხბურთს. ტოლია დოცენკო და სერგო ბერია (ლავრენტი ბერიას შვილი) ერთად სწავლობდნენ გერმანულ სკოლაში. როდესაც ეს ამბავი მოხდა, რომელსაც ახლა მოგითხრობთ, ისინი მე-5 კლასის მოსწავლეები იყვნენ და ორივე კარგად თამაშობდა ფეხბურთს. ერთ-ერთი შეხვედრის დროს, მოწინააღმდეგე გუნდში მოთამაშე სერგო ბერიას ტოლიამ შესანიშნავად შესრულებული “პოდკატით” აართვა ბურთი. ბერია უხერხულად წაიქცა, თავი მინდორს დაარტყა და ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა. ძლივს მოასულიერეს. ყველა, რა თქმა უნდა, ტოლიას ამტყუნებდა, სერგო ხომ თვით დიდი ბერიას შვილი იყო. ბავშვი შექმნილ მდგომარეობას ძალიან განიცდიდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი დამნაშავე არ იყო. მაგრამ ღმერთი მას, როგორც წესიერ ადამიანს, მფარველობდა. საბედნიეროდ, ამ თამაშს თვალს ადევნებდა სერგო ბერიას გერმანელი ძიძა ტანტე ლილი, რომელმაც ტოლიას გადარჩენაში დიდი როლი ითამაშა.

მართლაც რამდენიმე დღის შემდეგ ტოლია დოცენკო ლავრენტი ბერიასთან დაიბარეს. ბავშვი თავჩაღუნული შევიდა მის კაბინეტში. მთელი ტანით კანკალებდა. ბერია იჯდა თავის სამუშაო მაგიდასთან და რაღაცას წერდა. ბავშვის შესვლისთანავე მოიხსნა პენსნე, გაუღიმა ტოლიას და სიცილით უთხრა:

-- შენ ხარ, ბიჭო, მაგარი “ზაშჩიტნიკი”?

ტოლიამ უფრო დახარა თავი დაბლა. ბერია წამოდგა სკამიდან, მიუახლოვდა ბავშვს, თავზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა:

-- რა გქვია, ფეხბურთელო?

-- ანატოლი.

-- აბა, ანატოლი, მითხარი, რა მოხდა თამაშის დროს?
-- ძია, -- დაიწყო ტოლიამ აკნკალებული ხმით საუბარი, -- მე ბურთი ავართვი სერგოს თამაშის წესების სრული დაცვით, ის კი წაბორძიკდა და მოუმზადებელი დაეცა მოედანზე, რის გამოც ცხვირი იტკინა და სისხლი წამოუვიდა.
-- მ. . .და! -- აღმოხდა ბერიას და კაბინეტში გაიარ-გამოიარა, -- სიმართლეს ამბობ, ბიჭი? -- მიუბრუნდა ტოლიას ლავრენტი პავლოვიჩი, გამჭოლი მზერა მიაპყრო ბავშვს და მის თვალებში სიალალე და უმანკოება დაინახა. შემდეგ მაგიდასთან მივიდა, ზარის ღილაკს დააჭირა თითი და მეორე კარიდან ტანტე ლილი შემოვიდა.
-- მოისმინე ყველაფერი? -- ჰკითხა ბერიამ.
-- დიახ.
-- მერე? რას იტყვი?
-- ყველაფერი ასე იყო, ლავრენტი პავლოვიჩ, როგორც ანატოლიმ თქვა.
-- ძალიან კარგი. ესე იგი, შენ მართალი ყოფილხარ, ანატოლი. მოდი ახლა ჩემთან.

ტოლია მიუახლოვდა ბერიას, მას თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი, როგორც მერე თვითონ ამბობდა ხოლმე, ეს სიხარულის ცრემლი ყოფილა.

ბერიამ ტოლიას მუყაოს ყუთში საგანგებოდ ჩაწყობილი ტკბილეული გადასცა და თან უთხრა:
-- ამის შემდეგ შენ და სერგო მეგობრები იქნებით. ახლა კი თავისუფალი ხარ.

ამ ამბის შემდეგ სერგო და ტოლია მეგობრობდნენ. მე-7 კლასის დამთავრების შემდეგ, მათი გზები გაიყარა. სერგო მოსკოვში წაიყვანეს და იქ განარგძო სწავლა, ხოლო ტოლიამ 24-ე საშუალო სკოლა დაამთავრა. სერგო როდესაც თბილისში ჩამოდიოდა, ტოლიას ყოველთვის კითხულობდა. მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, მათი ურთიერთობა შემდეგში აღარ გაგრძელებულა.

ამაღლებული სულის მატარებელი ადამიანები არც თუ ხშირად იბადებიან ამ ქვეყანაზე. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ ტოლია დოცენკო. ცდილობდა, რომ ყოველთვის სიკეთე ეკეთებინა, მოფერებოდა ადამიანებს. მისი სიყრმის მეგობარი ერისტო სებისკვერაძე იხსენებს ასეთ ამბავს:

“ომის შემდგომი პერიოდი იყო, ზამთარში დიდი ყინვები დაიჭირა სოფელში. მე და ტოლია, სოფლის ცენტრში, მის მანქანაში ვისხედით და ვსაუბრობდით. იქვე სკოლასთან ორი ვაჟი და ერთი გოგონა იდგა. ეტყობოდათ, კრასნოგორკელები იყვნენ. ავტობუსს ელოდებოდნენ, მაგრამ მანქანა არ ჩანდა, არადა სციოდათ. ტოლიამ მკითხა:
-- ერისტო! საქმე გაქვს დღეს?
-- არა. -- ვუპასუხე მე.
-- მოდი ერთი სიკეთე გავაკეთოთ. ეს ხალხი კრასნოგორკაში წავიყვანოთ, თორემ გაიყინებიან.
-- კი ბატონო. -- მივეცი დასტური.

წავიყვანეთ ეს თითქმის გათოშილი ახალგაზრდები თავიანთ სოფელში. როდესაც მანქანიდან ჩავიდნენ, ერთ-ერთმა ბიჭმა უთხრა ტოლიას “რამდენი მოგართვათო”. ტოლია კინაღამ გაგიჟდა “რა ფული, რის ფულიო, მაგისთვის კი არ წამოგიყვანეთო”. მაშინ ახალგაზრდამ ოჯახში დაგვპატიჟა და გვითხრა:
-- ჩვენი წესისამებრ, სტუმარს ერბოკვერცხი თუ არ ვაჭამეთ, ისე არ გავუშვებთ.

სხვა გზა არ იყო, შევედით ოჯახში. ერბოკვერცხს სხვა პურმარილიც მოჰყვა, ცოტა არაყიც. ტოლიამ ჰკითხა მასპინძელს:
-- სართიჭალელ სენია ექიმს თუ იცნობდით?

მასპინძლებს სახე გაებადრათ:

-- როგორ არ ვიცნობდით, ის რომ არ ყოფილიყო, დღეს ბევრი ჩვენი სოფლელი ცოცხალი აღარ იქნებოდა. თავის ველოსიპედით გვაკითხავდა, მისთვის ყინვა, წვიმა და სიცხე არ არსებობდა.

როდესაც გაიგეს, რომ ტოლია სენია ექიმის შვილი იყო, აღარ გვიშვებდნენ, თქვენ მთელი სოფლის სტუმრები ყოფილხართო. ასეთი მამის შვილი იყო ტოლია. დედა ხომ შესანიშნავი ქალი გახლდათ, ფრიად განათლებული. ისეთი დარიგება იცოდა, მის მოსმენას არაფერი სჯობდა. ტოლია ნადირობის დიდი მოყვარული გახლდათ. ტოლია და მისი მეზობელი ბორია ზალატუხინი წასულან სანადიროდ. ადგილზე რომ მივიდნენ, გააჩერეს თურმე მანქანა, მოიმარჯვეს თოფები და დაიწყეს მინდორში სიარული, თან ძაღლს ეძახდნენ. მაგრამ ტოლიას სანაქებო მწევარი, რათხარის ჯიშის "რექსი" არ ჩანდა. დაიწყეს ძაღლის ძებნა. მოიარეს მინდვრები. მერე ჩათვალეს, ნაღდად მოგვპარესო და დაღონებულები მანქანასთან მივიდნენ. უცებ მანქანიდან ხმაური მოესმათ. საბარგული გახსნეს და სიბნელისა და სიცხისაგან გატანჯული "რექსი" შერჩათ ხელში.

თავისი საქმის დიდი სპეციალისტი იყო. პენსიაზე რომ გავიდა, მთხოვა, რომ ჩემთან, სამხედრო ნაწილში, სამსახური მეშოვა მისთვის. თან დააყოლა: "რაც ნაწილის ტერიტორიაზე ასკილი გაქვთ, ყველას ვარდებად ვაქცევო." სიტყვა შეასრულა და ნაწილის ტერიტორიაზე უამრავი ვარდი ახარა.

სართიჭალაში მდებარე სამხედრო ნაწილის შესასვლელში, გამსვლელ პუნქტთან, ალვის ხის ძირას ნაწილის ხელმძღვანელობამ ღია ცის ქვეშ მომსვლელთათვის მოსაცდელი გააკეთა, რომელიც სიგარეტის მოსაწევი ადგილის ფუნქციასაც ასრულებდა (მაშინ ნაწილის შიდა და მიმდებარე ტერიტორიაზე სიგარეტის მოწევა მხოლოდ სპეციალურ ადგილებში იყო ნებადართული). ტოლიამ ნაწილის მეთაურისაგან აიღო ნებართვა, რომ მოსაცდელთან ვაზის ნერგები დაერგა. თანხმობა მიიღო. ვაზებს თვითონვე უვლიდა და ახარა. როდესაც ჰკითხეს ტოლიას "რატომ წვალობ, აქ ვაზი ვის რად უნდაო" მან უპასუხა: "ვაზი საქართველოს სიმბოლოა. აქ ხალხი მთელი საბჭოთა კავშირიდან ჩამოდის შვილების სანახავად და მათ ეს სიმბოლო პირველივე შეხვედრისთანავე უნდა დაინახონ და შეიგრძნონო".

სიყვარულით და ემოციებით აღსავსე იყო მისი სული. ყველაფერი გულთან მიჰქონდა. ამიტომ რამდენჯერმე გადაიტანა მიკროინფარქტი, ხოლო 1983 წელს, 60 წლის ასაკში დაღლილმა გულმა ვეღარ გაუძლო შეტევას და ანატოლი დოცენკოს სულმა დატოვა ნატანჯი სხეული და ადგილი დაიმკვიდრა ზეცაში, სამარადისო სასუფეველში.

ტოლიამ ორი ვაჟკაცი დატოვა ამ ქვეყნად, სიმონი და გიორგი-გოგა. სიმონი, რომელიც პირველი ცოლისგან ჰყავდა ტოლიას, სოჭში ცხოვრობს, ხოლო გიორგი-გოგა დაიბადა და გაიზარდა სართიჭალაში. ამჟამად იგი ამერიკაში ცხოვრობს და მუშაობს. არის მართლმადიდებელი ქრისტიანი და წარმოად-გენს ნიუ-იორკის მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლს.

ჩვენ კი ისევ ესთერს ვუბრუნდებით. მისი მოს-ვლა წმინდა დავით გარეჯე-ლის და წმინდა ლაზარეს მად-ლით გაჯერე-ბულ მიწაზე შემთხვევითი არ არის. "არ გაუმჟღავნებია ესთერს თავისი ერი და სამშობლო..." (ესთ. 2. 10.) ბიბლიური ესთერი იბრძოლებს და გაამარჯვებინებს თავის ერს, მანამდე კი ყველაფერი დაფარულია.

ვალერიან (ვალერი) ალაის ძე კომბაი (1936-2000)

Вчера я по кладбищу ходил
и там все надписи изучил.
Двум-трем сказал, зачем ты умер
А остальным - зачем ты жил.

ის არ უნდა მომკვდარიყო, მას ჯერ კიდევ ბევრი რამ ჰქონდა გასაკეთებელი.....

დაიბადა 1936 წლის 17 მარტს უკრაინის რესპუბლიკის ქ. ვოროშილოვგრადში (ლუგანსკი) საბჭოთა არმიის ოფიცრის ოჯახში. დედა ეკატერინე, ცნობილი რევოლუციონერის დიმიტრი ფედორენკოს ქალიშვილი გახლდათ. მეორე მსოფლიო ომის დროს მათი ოჯახი ავიაბაზასთან ერთად ევაკუირებული იქნა ციმბირში, ხოლო შემდეგ კი თბილისში, ოცდამეტერთმეტე ქარხანაში. საქართველოს დედაქალაქში ჩამოსვლისას, 1945 წლის მარტში, ქვეყანას მოევლინენ ვალერის ტყუპი ძმები ხასაი და მიხეილი. სულ მალე ა. კომბაი სამუშაოდ გამოაგზავნეს სართიჭალის აეროდრომზე და იგი ოჯახთან ერთად დაფუძნდა ჩვენს სოფელში. პენსიაზე გასვლის შემდეგ, იგი წლების განმავლობაში მუშაობდა სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად.

ვალერი კომბაიმ, რომელმაც 1955 წელს დაამთავრა სართიჭალის პირველი საშუალო სკოლა, გააგრძელა მამის მიერ დაწყებული საქმე და მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. 1960 წელს უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, იგი სამუშაოდ გააგზავნეს მშობლიურ სკოლაში, სადაც ის 1959 წლიდან უკვე ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას. ეს, შესანიშნავი პედაგოგის შ. ბედოიძის დამსახურება იყო. ბატონ შალვას სხვადასხვა სიკეთესთან ერთად კადრების შერჩევის შესანიშნავი უნარი ჰქონდა. მან პირადად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჯერ კიდევ სტუდენტი ვ. კომბაი მასწავლებლად დაენიშნა. ამ ნაბიჯის გადადგმა არსახსენებელი ხრუშოვის პერიოდში ეშაფოტზე ასვლის ტოლფასი იყო, მაგრამ შ. ბედოიძე მთიელი კაცი გახლდათ და თავის თავზე პასუხისმგებლობის აღებაც არ უჭირდა.

ვ. კომბაი შესანიშნავ ხელმძღვანელს გვერდში დაუდგა და სკოლაში მისი პოლიტიკის გამტარებელი იყო. გვერდს ვერ ავუვლით კიდევ ერთ ფაქტს, რომელიც შ. ბედოიძის და ვ. კომბაის ერთობლივ მოღვაწეობას ეხება. ომის შემდეგ, პოლიტიკური სიტუაციის გამო, გერმანული ენის სწავლება ბევრი საშუალო სკოლის პროგრამიდან იქნა ამოღებული. ეს ცვლილება შეეხო სართიჭალის საშუალო სკოლებსაც. პირველი საშუალო სკოლის რუსულ სექტორზე სწავლობდნენ სოფელში დისლოცირებული სამხედრო ნაწილის ოფიცერთა შვილები, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ოლქებიდან და მხარეებიდან იყვნენ ჩამოსულები.

მოხდა ასეთი შემთხვევა. მერვე კლასის მოსწავლეს ე. ლეშჩუკს, რომელიც 1967 წელს ახალი მიღებული იყო სკოლაში, სჭირდებოდა სწავლის გაგრძელება გერმანულ ენაში. სართიჭალის საშუალო სკოლებში კი გერმანულის ნაცვლად უკვე ისწავლებოდა ფრანგული ენა. ვ. კომბაის სკოლაში გერმანული ენა ჰქონდა ნასწავლი, ამასთან ასპირანტურაში საკანდიდატო მინიმუმში გერმანული ჰქონდა ჩაბარებული და იგი მზად იყო დახმარებოდა მოსწავლე ე. ლეშჩუკს, რომ იგი უცხო ენის შესწავლის გარეშე არ დარჩენილიყო. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ნებართვა. ამ უკანასკნელის მოპოვება

კი საბჭოთა განათლების სისტემის ბიუროკრატიულ იერარქიაში არც თუ ისე ადვილი იყო, აქ კი უკვე სკოლის დირექტორმა შ. ბედოიძემ გამოიჩინა თავისი მტკიცე და ურყევი ხასიათი, განათლების სისტემიდან ნებართვა აიღო და მოსწავლეს, ვ. კომბაის დახმარებით, სკოლის პროგრამით გათვალისწინებული გერმანული ენის სრული კურსი დაამთავრებინეს.

ასეთ საქმეს მხოლოდ ამაღლებული სულის ადამიანები თუ აკეთებენ.

“სართიჭალის კოლორიტების” მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ჩვენ “კოლორიტებად” წარმოგიდგენთ იმ სართიჭალელებს, რომლებმაც თავის ცხოვრების და მოღვაწეობის პერიოდში სოფლისათვის გააკეთეს სასიკეთო საქმე და თანაც პირველებმა. ამ შემთხვევაში ვ. კომბაი პირველთა შორის უპირველესია, რადგან მან სართიჭალელთაგან პირველმა, 1970 წელს გამოსცა უნიკალური წიგნი “Сборник упражнений по русскому языку”, რომელიც იყო და არის ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლების სახელმძღვანელო როგორც მოსწავლეთათვის, ასევე მასწავლებელთათვის. წიგნმა საქართველოში სართიჭალას გაუთქვა სახელი, ხოლო სართიჭალელებისათვის ამ წიგნის გამოცემა ორმაგად სასიხარულო გახლდათ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი სართიჭალელის დაწერილი იყო, ხოლო მეორე = წიგნში მოყვანილ სავარჯიშოებში გამოყენებულია სართიჭალელთა სახელები და გვარები. მაგალითად:

«ხელწერილი მივიღე მიხეილ ბედოიძისაგან 27 მან. და 50 კაპ. (ოცდაშვიდი მანეთი და 50 კაპ.) დიმიტრი ბანცაძისათვის გადასაცემად.

ნანა არჩილის ასული დოხტურიშვილი.
გარდაბნის რაიონი,
ს. სართიჭალა,
1970. 10. IX» (გვ. 88) და სხვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ასპირანტი ვ. კომბაი, ცოდნის გაღრმავების მიზნით, სხვადასხვა საკითხებზე მიმოწერას აწარმოებდა საბჭოთა კავშირის ქალაქების სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, განსაკუთრებით ინტენსიური ურთიერთობები ჰქონდა გაზეთების “პრავდის” და “იზვესტიის” რედაქციებთან. მისი კალამი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასაც მისწვდა.

1971 წელს ვ. კომბაიმ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (რაზეც ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი) და 1974 წელს, როგორც ფილოლოგიურ მე-ცნიერებათა კანდი-დატი, სამუშაოდ მიიწვიეს თელავის პედაგოგიურ ინსტი-ტუტში რუსული ენისა და ლიტერა-ტურის კათედრაზე დოცენტის თანამ-დებობაზე. Мოგვია-ნებით 1986 წლის 29 იანვარს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსე-ბულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ, ვ. კომბაის მიანიჭა რუსული ენისა და ლიტერატურის დოცენტის წოდება.

თელავში მოღვაწეობის პერიოდში ვ. კომბაი ერთი წუთითაც არ ივიწყებდა სართიჭალის მშობლიურ სკოლას. მიუხედავად იმისა, რომ მას კვირაში სულ რამდენიმე საათის გაკვეთილები ჰქონდა სკოლაში, თელავიდან ჩამოდიოდა სართიჭალაში და გაკვეთილებს არ აცდენდა. ასეთი ხშირი
მგზავრობის დროს, ერთხელ უჯარმასთან მანქანას წინა ბორბალი მოსწყდა და რამდენიმე ბრუნი გააკეთა. ვ. კომბაი გადარჩა. აქ უკვე ღმერთის ხელი ერია. იგი უფალმა ჯერ კიდევ ბავშვი გადაარჩინა, როდესაც ვოროშილოვგრადიდან ციმბირში ევაკუაციაში მიდიოდნენ. მატარებლის დაბომბვა გერმანელთა თვითმფრინავებმა დაიწყეს. მატარებლიდან ხალხთან ერთად ჩამოსული დედა-შვილი ეკატერინე და

ვალერი ინტენსიურ ცეცხლში მოხვდნენ. დედა შვილს გადაეფარა. ღმერთმა ორივე დაიფარა. ისინი გადარჩნენ.

ვ. კომბაი თავის მეუღლესთან, სართიჭალის მეცხოველეობის მეურნეობის უფროს ზოოტექნიკოს ქ-ნ ლ. ხომასურიძესთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწე-ოდა. 1963 წელს, მაშინდელი ქარ-თული პრესის ლიდერი ჟურნა-ლი "დროშა" წერდა: "ისინი ყოველ დილით ერთად გამოდიან სახლიდან. საუბარში გართული ცოლ-ქმარი ფეხმარდად მიჰყვებიან ასფალტიან გზას, მიდიან და თანა-სოფლელთა კეთილი სალამი და სიყვარუ-ლით გაღიმებული სახეები მიაცილებს.

ამ ბედნიერ წყვილს კარგად იცნობენ სართიჭალაში. ორივე ჯან-ღონითა და ენერგიით სავსე ახალგაზრდები არიან, სამშობლოს კეთილდღეობისათვის მუდამ დაუღალავად მებრძოლნი.

სოფლის მასწავლებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი სწავლების ასპირანტი ვალერი კომბაი გზის ასაქცევთან ემშვიდობება მეუღლეს და ბავშვებში ჩამდგარი მიეშურება სკოლისაკენ.

მარტო დარჩენილ ლილის ჯერ ლიდა ზარიძე, ელო და ლატავრა წიკლაურები წამოეწევიან, მერე ბრიგადის სხვა წევრებიც ამოუდგებიან მხარში და ჟრიამულით მიეშურებიან ფერმისაკენ».....(გვ. 5)

ახლა კი მოკლედ განვიხილოთ ვ. კომბაის შემოქმედება. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ვ. კომბაის წიგნი "სავარჯიშოთა კრებული რუსულ ენაში. ფონეტიკა და მორფოლოგია ქართული სკოლის უფროსი კლასებისათვის" გამოიცა 1970 წელს. წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს როგორც მოსწავლეთათვის, ასევე მასწავლებლებისათვის. იგი შეიცავს ფონეტიკის და მორფოლოგიის 661 სავარჯიშოს. ეს იძლევა საშუალებას, ერთის მხრივ, მოსწავლემ განიმტკიცოს ცოდნა გრამატიკაში, ხოლო მეორეს მხრივ, განისაზღვროს წინადადებაში ამა თუ იმ სიტყვის ადგილი და მნიშვნელობა. სავარჯიშოები განკუთვნილია ისეთ მოსწავლეთა კონტიგენტისათვის, რომელთათვის უკვე ცნობილია რუსული გრამატიკის ძირითადი საფუძვლები.

სახელმძღვანელომ გამოცემისთანავე მოიპოვა დიდი პოპულარობა ქართულ სკოლებში.

1974 წელს ვ. კომბაიმ ნ. გელაშვილთან ერთად გამოსცა ახალი წიგნი "სავარჯიშოთა კრებული რუსულ ენაში" ქართული სკოლის მეათე კლასელთათვის, რომელიც შეიცავს 479 სავარჯიშოს.

1999 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მიერ გამოიცა წიგნი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "ფილოლოგიური მეცნიერების აქტუალური საკითხების" მოხსენებები და მასალები, რომელიც მიეძღვნა თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტის ¹ 2 რუსული ენის კათედრის დამფუძნებლის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ თინათინ მრევლიშვილის 90 წლის იუბილეს.

ამ წიგნში გამოქვეყნდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ვ. კომბაის შესანიშნავი სტატია, რომელიც შეეხებოდა რუსული რეალისტური პროზის პირველი და ბრწყინვალე წარმომადგენლის ვასილი ტროფიმეს ძე ნარეჟნის მოღვაწეობას. იგი წერდა: "Нарежный опередил своих современников, не был ими понят и оценен и незаслуженно забыт." (გვ. 17).

ვ. კომბაი, ეყრდნობოდა რა ბელინსკის და დობროლიუბოვის აზრს, თამამად აცხადებდა, რომ პატივი პირველი რუსული რომანის შექმნისა ეკუთვნოდა ნარეჟნის. ხოლო რომანის შექმნამდე მიმავალი გზა არც თუ ადვილი გასასვლელი იყო: "В творчестве Нарежного наметились следующие магистральные пути к реализму: По известной формуле "От романтизма к реализму". Он шел от полумифических, полуисторических "Славянских

вечеров” к историческому роману “Бурсак”, от опытов в поэзии стремился к прозе. Одним из первых пишет драматические произведения прозой (“Дмитрий Самозванец”), от драм переходит сперва к драматическим рассказам, и, наконец, к романам. От так называемых “Восточных повестей” пришел к сатирическому роману из жизни горцев (“Черный год, или горские князья”), который проф. Вано Шадури назвал “первым русским романом о Кавказе”. (გვ. 19).

სწორედ “В. Т. Нарежный и его кавказкий роман” იყო ვ. კომბაის საკანდიდატო დისერტაციის თემა, რომელიც ბრწყინვალედ დაიცვა 1971 წელს.

ამ პერიოდში თქვენი მონა-მორჩილი ვ. კომბაის მოსწავლე გახლდით. მან შეგვაყვარა რუსული ენა და ლიტერატურა, იგი განსაკუთრებით კარგად იცნობდა კავკასიაში მოღვაწე რუსი მწერლების ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მან შეგვაყვარა პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი..... გვიყვებოდა მათ ცხოვრებისეულ ეპიზოდებს. ვალერი მასწავლებელი ემოციური ადამიანი გახლდათ და ამიტომ მისი მონათხრობი ჩვენზე, მოსწავლეებზე, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ხშირად საუბრობდა ვასილ ნარეჟნის შესახებ. გვიყვებოდა თუ როგორ დაიწყო ნარეჟნიმ მუშაობა 1802 წელს ლარსის პოლიციაში მწერლის თანამდებობაზე, სადაც იგი მოსკოვის უნივერსიტეტიდან გააგზავნეს. მომავალი მწერალი უშუალოდ იღებდა მონაწილეობას იმ მოვლენებში, რომლებიც მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში ვითარდებოდა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე. თავისი თვალით ხედავდა როგორ იჩაგრებოდა უბრალო და მართალი ხალხი ქართველი და რუსი ადმინისტრაციის უღლის ქვეშ. ვ. კომბაის ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი იმ პერიოდის მოვლენათა განვითარება, თავისი ფანტაზიით ის იმ ეპოქაში ცხოვრობდა, რომანის ბევრ გმირს განასახიერებდა კიდეც. ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ გაკვეთილის დამთავრების ზარი დარეკილა და ჩვენ ყურადრებაც არ მიგვიქცევია მისთვის. ასე “ვმოგზაურობდით” ვალერი მასწავლებელთან ერთად სხვადასხვა დროში.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე არავის არ გაკვირვებია, როდესაც 1971 წლის 16 აპრილს, მოსკოველმა პროფესორმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. სტეპანოვმა პირდაპირ განაცხადა: “Считаю, что работа В. А. Комбай “В. Т. Нарежный и его кавказский роман” вносит новое в изучение Нарежного и заслуживает присуждения ее автору искомой ученой степени-кандидата филологических наук.”

ეს იყო ბრწყინვალე გამარჯვება.

დიდი რეზონანსი ჰქონდა 2000 წელს ვ. კომბაის ახალი წიგნის გამოცემას “ქართულ სკოლაში რუსული ლიტერატურის სწავლების გამოცდილებიდან”.

გადაჭარბებული არ იქნებოდა იმის თქმა, რომ ქართულ სკოლას აუცილებლად სჭირდებოდა აღნიშნული სახელმძღვანელო. რუსული ლიტერატურის მეთოდური სწავლების საფუძვლებს სტუდენტები ეცნობოდნენ რუსული სკოლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებიდან, რომელიც არ ითვალისწინებდა იმ სპეციფიკური სწავლების მეთოდებს, რომლებიც აუცილებელი იყო ქართული სკოლებისათვის. ვ. კომბაი მართებულად აღნიშნავდა: “Мы бережно относимся к богатому наследию русских методистов, будем опиратся на их достижения, на общие положения и по мере возможности напольнять новым содержанием, всем тем, чем отличается методика преподования русской литературы грузинской школы от методики преподования русской литературы для русских школ.” (გვ. 3).

ავტორი წიგნში ეყრდნობა თავისი წინამორბედების სახელმძღვნელოებს (მხედველობაში გვაქვს ზ. რეზის, მ. ჩერქეზოვის, და სხვათა წიგნები რუსული ენის მეთოდური სწავლების შესახებ), ზოგ საკითხში ეთანხმება მათ, ზოგში კი-არა. გამოთქმულ

აზრს ასაბუთებს მაგალითებით ინდივიდუალური პრაქტიკიდან, რომელიც მას გავლილი აქვს სართიჭალის საშუალო სკოლასა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

რუსული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა ძალიან ფაქიზი თემაა. იგი სულ ორასი წლის ისტორიას ითვლის. რუსული სიტყვიერების და სწავლების მეთოდიკის პირველი სახელმძღვანელოს ავტორი გახლდათ თვით დიდი მ. ლომონოსოვი, რომელმაც აღნიშნული წიგნი გამოსცა 1748 წელს სათაურით "მჭერმეტყველების მოკლე სახელმძღვანელო". უფრო ადრე, მე-18 საუკუნის დასაწყისში, სიტყვიერების თეორიის სწავლების ორიგინალური სახელმძღვანელო შექმნა კიევის სასულიერო აკადემიის მასწავლებელმა, მწერალმა ფ. პროკოპოვიჩმა. ამ დიდ საქმეში, სხვადასხვა დროს, თავისი წვლილი შეიტანეს ისეთმა გამოჩენილმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ: ფ. ბუსლაევი, ვ. სკოპინი, ვ. ვოდოვოზოვი, ვ. ოსტროვსკი, ნ. ბალტალონი, ა. ალფეროვი, ნ. სოკოლოვი, მ. რიბნიკოვი, ვ. კოლუბკოვი. ქართულ სკოლაში რუსული ლიტერატურის სწავლებას შემოქმედებითი მოღვაწეობა მიუძღვნეს: ე. ბათიაშვილმა, კ. მაჭარაშვილმა, ბ. იმნაძემ, ვ. ცაავამ, გ. გოლეთიანმა, თ. მრევლიშვილმა, ნ. გელაშვილმა და სხვებმა.

და აი ასეთი მოღვაწეების შემდეგ, ასპარეზზე გამოდის დოცენტი ვ. კომბაი და რადიკალური ცვლილებები შეაქვს ქართულ სკოლაში რუსული ლიტერატურის სწავლების საქმეში. იგი თამამად აცხადებს: "Вслед за В. В. Голубковым, мы можем утверждать, что методика теснеишим образом связана с педагогикой и литературоведением. (ხაზგასმა ჩემია ი.ს.). Если литературоведение отвечает на вопрос-что, а педагогика на вопрос как. Правда В. В. Голубков настаивает и на вопросе зачем (с какой целью).....Если литературоведение изучает закономерности развития художественной литературы, дидактика-закономерности обучения, а психология-закономерности психической деятельности взрослого и ребенка, то методика, опираясь на их данные, решает свои специфические задачи....то есть методика является частной педагогикой, задачей которой является открытые закономерностей процесса обучения литературе, в то же время, как и дидактика, она разрабатывает общую теорию принципов обучения." (გვ. 3-4)

ვ. კომბაი წიგნში დაწვრილებით იხილავს სწავლების სხვადასხვა მეთოდს. მათ შორის: ლიტერატურის შესწავლის, შემოქმედებითი კითხვის, კვლევის და ა.შ. დიდ ყურადღებას უთმობს ბავშვობის ასაკიდან სწავლის სწორად წარმართვის პროცესს, სკოლაში გაკვეთილების მომზადებისა და მისი ჩატარების მეთოდიკას და სხვა.

ვ. კომბაი განსაკუთრებით აღნიშნავს ქართულ-რუსული სკოლების უპირატესობას მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. იგი სწორედ ასეთ სკოლაში სწავლობდა და მუშაობდა. სართიჭალის პირველ საშუალო სკოლაში ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი ძლიერი პედაგოგი. მას ძალიან უყვარდა ქართული ენა. ბავშვობიდანვე საფუძვლიანად სწავლობდა. ქართული ენისა და ლიტერატურის დიდი სიყვარულის დადასტურებაა ისიც, რომ მან, ჯერ კიდევ მეცხრე კლასის მოსწავლემ, რუსულ ენაზე თარგმნა ილია ჭავჭავაძის "გუთნის დედა":

Мы одной судьбы,
Лаба, ты и я.
Равно нам дана
Черная земля.
Вместе поднимем
Мы наше бремя,
Выпем безрадостной
Жизни время.
Землю пласт на пласт
Перевернем,

И трудовым потом
Ее польем.
Но не горюй,
Твое ярмо
Не тяжелее,
Друг, чем мое.
БезъязычеН ты,
Я же говорю,
Пусть это, лаба
Не будет различьем.
Зачем мне сабля,
Хоть и остра?
Если не бьется
За правды величье.

ვ. კომბაის ვინც იცნობდა, ყველა თუ არა, უმრავლესობა ნამდვილად იტყვის, რომ იგი ფიზიკურად მეოცე საუკუნეში ცხოვრობდა, სულით კი ხან მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში ან კიდევ მომავალში მოღვაწეობდა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ისინი უფალს ადრე გაჰყავს ამ წუთისოფლიდან. 2000 წლის 8 ივლისს ვ. კომბაი სართიჭალაში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა გულის შეტევით.

აი რას იგონებს მის შესახებ, მისივე კოლეგა, შესანიშნავი ქალბატონი ვ. ჩოხელი: “ ვალერი კომბაის სტუდენტობის პერიოდში გავეცანი. ვალერი რომ სწავლობდა უნივერსიტეტში, მე პუშკინის სახელობის (ახლანდელ სულხან-საბა) პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გახლდით. იგი იყო გულთბილი, გულკეთილი, ერუდირებული ადამიანი, უყვარდა მეგობარი, კოლეგა. უყვარდა თავისი სკოლა. მოსწავლე იყო თუ მასწავლებელი, ყველასთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

იყო თავისი საგნის ბრწყინვალე მცოდნე, მისი დიდი პატრიოტი. დაწერილი აქვს “სავარჯიშოების კრებულის” ორი წიგნი, რომელიც, როგორც რუსული ენის სპეციალისტს, დიდ დახმარებას მიწევდა.

ძნელია ილაპარაკო, უკვე წარსულში, ისეთ მეგობარზე, როგორიც ვ. კომბაი იყო. სიკვდილის შემდეგ ადამიანში მისი კარგი თვისებები უფრო გამოიკვეთება ხოლმე.

ვალერი იყო იგავ-არაკების კარგი დეკლამატორი. დიდი ემოციით კითხულობდა მაიაკოვსკის პოეზიას. განსაკუთრებით - “Стихи о советском паспорте”.

ფანტასტიურად უყვარდა საქართველო.

ძვირფასი იყო ვალერი სუფრასთან. იცოდა კარგი სიმღერა, ჰქონდა კარგი ხმა. მისი მრავალჟამიერი ყველა კოლეგას დღესაც გვახსოვს. უყვარდა კოლეგების პატივისცემა. დიდ პატივს სცემდა მასწავლებელ ვ. გელავას. მეტყოდა: “ჯერ მას მივცეთ, საათები, რადგან ძალიან უჭირს, ხოლო თუ რამე დარჩება, ჩვენ გავინაწილოთო”.

ვალერის სახით სკოლამ დაკარგა დიდი პედაგოგი, სოფელმა - კარგი ახალგაზრდა კაცი.

ვალერი არ ჩერდებოდა არც ერთი წუთით. როდესაც დაამთავრა წიგნი “მეთოდური სახელმძღვანელო” ასეთი წარწერით მაჩუქა “ორმოცი წელი ჩვენი მეგობრობის, ეს პატარა დრო არ არის.”

მოულოდნელი იყო მისი გარდაცვალება ჩემთვის. ჩვენ ახლოს ვიყავით ოჯახებით.

არასოდეს დამავიწყდება მისი ღიმილით შემოსვლა სამასწავლებლოში».....

ის არ უნდა მომკვდარიყო... ნაადრევი იყო მისი წასვლა ამ ქვეყნიდან, ცნობილი პოეტი წერდა:

“ამბობენ სიკვდილსაც კარგები უყვარსო,
მას რაღა სიკვდილი არჩევინებს?....
ერთი კი ნაღდია, ადრე წასულები
რაღაცით ჯობიან დარჩენილებს!”

გურამ ირაკლის-ძე გედეხაური

«ჩემის კაცობის გვირგვინო,
ჩემო სამშობლო მხარეო!
შენგან ნაშობი ოცნება
გულს ლახვრად გავიყარეო.»

ვაჟა ფშაველა.

“ვენი, ვიდი, ვისი” - “მოველ, ვნახე, დავამარცხე”. ეს სამი სიტყვა აცნობა რომს ცეზარმა (გაიუს იულიუს კეისარი), როდესაც სწრაფი მარშით გაანადგურა პონტოში შეჭრილი ბოსფორის მეფე ფარნაკე. <u>რომაელი</u> კეისრის ამ სიტყვებმა კიდევ ერთხელ გაიჟღერა დედამიწის ზურგზე, როდესაც საფრანგეთის ქალაქ კლერმონ-ფერანში გამართულ მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე, სართიჭალელმა ფალავანმა გურამ გედეხაურმა ბერძნულ-<u>რომაულ</u> ჭიდაობაში პლანეტის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

სართიჭალის მკვიდრმა, გულანთებულმა მამულიშვილმა ოთარ თიღილაურმა გურამს შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა:

ალაგი ავის მგმობელი
გარე კახეთის ფარია,
სართიჭალაა სოფელი
კუხეთზე მინაწერია.
კაი ვაჟების სამჭედლო,

კარგ ყმობა მათი ხვედრია.
ვეტრფი და ვეთაყვანები
მათგან ვარ განახარია,
აქ იშვა, აქ დაიბადა
ერთი ფშაველი ხარია.
მოხევის ქალმა გაზარდა
კურთხევა მისცა მყარია,
ბევრი ლომგულა შებოჭა,
არ მისცა გასახარია.
ზურგით ხალიჩას გააკრა,
ამოუბრუნა მხარია,
მსოფლიოს ამცნო სოფელი,
გედეხაურის გვარია.
გვიყვარს და მისით ვამაყობთ,
რაღაა დასამალია,
იმრავლოს მისმა გვარ-ჯიშმა,
არ ჰქონდეს დასამარია
სანამ მოშხუის იორი,
ყურთ ისმის მისი ქნარია,
სანამ იალნო დაგვცქერის,
თმას გვიწეწს ზენა ქარია,
ზეცას კი სხედან ვარსკვლავთა
აურიცხავი ჯარია.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა "სამშობლო" 1987 წელს წერდა: «სოფელი სართიჭალა, რომელიც თბილისიდან ოცდაათ კილომეტრზე მდებარეობს, აღნიშნული არც არის საქართველოს ყველა რუკაზე, მაგრამ 1987 წლის ზაფხულში მისი სახელი რამდენიმე დღის მანძილზე მეორდებოდა ტელერეპორტაჟებში, იბეჭდებოდა საგაზეთო ანგარიშებსა და მსოფლიო საინფორმაციო სააგენტოების ტელეტაიპის ლენტებზე. თვით სართიჭალელები კი მთელი ამ დღეების მანძილზე ცხოვრობდენ საფრანგეთის ქალაქ კლერმონ-ფერანის "სპორტის სახლის" საჭიდაო ხალიჩაზე მიმდინარე მოვლენებით-კლასიკური სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე გამოდიოდა მათი თანასოფლელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გურამ გედეხაური.

აგვისტოს ამ დღეს გედეხაურს მთელი სოფელი ხვდებოდა და იქვე, სართიჭალელთა შორის, რომლებიც თავიანთი ენამახვილობითაც გამოირჩევიან, იშვა ხუმრობა: აბა, ის რა სოფელია, თავისი მსოფლიო ჩემპიონი რომ არ ჰყავდესო?!

სართიჭალელებს, ისე როგორც სპორტის სხვა თაყვანისმცემელთ საქართველოში, სრული საფუძველი აქვთ იამაყონ გურამ გედეხაურით და მიიჩნიონ იგი სახელგანთქმული ქართველი ფალავნების ტრადიციების გამგრძელებლად. ამგვარი აღიარება მოუტანა მას ბრწყინვალე გამარჯვებამ საფრანგეთში, სადაც მოიპოვა ოქროს მედალი 100 კილოგრამამდე წონით კატეგორიის მოჭიდავეებს შორის.

.....თავიდან მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტს ბევრი არ მიიჩნევდა ფავორიტთა შორის და ალბათ მართლებიც იყვნენ-ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ხომ გედეხაურის სახელი საერთაშორისო ასპარეზზე არ იყო ცნობილი.

სხვაგვარად ფიქრობდა მოჭიდავე-იგი გულმოდგინედ ემზადებოდა თავისი პირველი მსოფლიო ფორუმისათვის.
-- მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლა სპორტსმენთა ოცნებაა, -- ამბობს გურამი. -- მაგრამ ეს დიდი პასუხისმგებლობაც არის მშობელი ხალხის წინაშე. მოგანდეს, მაშ ყოველი უნდა იღონო სახელის მოსაპოვებლად.
კლერმონ-ფერანში გედეხაურმა ქვეჯგუფში ყველა ორთაბრძოლა მოიგო, პირველი სამი ორთაბრძოლა მან დამაჯერებლად წარმართა, მაგრამ შემდეგ გვარიანად ააღელვა მწვრთნელები და თანაგუნდელები; ფინალში გასვლისათვის შეხვედრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელთან ქართველი მოჭიდავესათვის ძალზე კარგად დაიწყო, = გედეხაური იგებდა 6:0, ხოლო როცა ორთაბრძოლა დამთავრდა ელექტროტაბლოზე ენთო ციფრები - 10:9.
-- რა მოხდა? -- ვკითხე გურამს.
-- გამარჯვება დროზე ადრე ვირწმუნე, -- თქვა მან, -- მოვდუნდი, მეტოქეს გააქტიურების საშუალება მივეცი. კინაღამ ძვირად დამიჯდა თვითდაჯერება, რასაც არასდროს ვაპატიებ ჩემს თავს.

ფინალურ ორთაბრძოლაში გედეხაურის მეტოქე იყო ამერიკელი დენის კოზლოვსკი, რომლის წარმატება ტურნირის ერთ-ერთ აღმოჩენად მიიჩნიეს-წინასწარ შეხვედრაში მან შესძლო 1984 წლის ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონის რუმინელი ვ. ანდრეის დამარცხება, რომელიც ქვემძიმე წონის მოჭიდავეთა შორის ოქროს მედლის მთავარ პრეტენდენტად ითვლებოდა.

.....ხალიჩაზე გასვლის წინ, წარსულში სახელგანთქმულმა საბჭოთა მოჭიდავეებმა გენადი საპუნოვმა და რომან რურუამ, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატზე გედეხაურს მეურვეობდნენ, დებიუტანტს მოქმედების გეგმა დაუსახეს.
-- გაითვალისწინეს რა კოზლოვსკის დიდი ფიზიკური ძალა და ჭიდაობის რამდენადმე სწორხაზოვანი მანერა, -- იხსენებს გურამი, -- ვეტერანებმა მირჩიეს მემოქმედა მაქსიმალურად სწრაფად, ყოველთვის დამესწრო მეტოქისათვის, თავი ამერიდებინა ჩოქბჯენში ჭიდაობისათვის, რაშიც განსაკუთრებით ძლიერია ამერიკელი.

თავიდან ამ გეგმამ "არ გაამართლა", ამერიკელმა სპორტსმენმა ორჯერ მოახერხა ჩვენი მოჭიდავის ჩოქბჯენში გადაყვანა და დაწინაურდა კიდეც 2:0. ორთაბრძოლის დამთავრებამდე ორი წუთი იყო დარჩენილი, მეტოქე, რომელიც გრძნობდა გამარჯვების სიახლოვეს, ყრუ დაცვაზე გადავიდა. რთულ სიტუაციაში გურამმა გამოავლინა არა მარტო დიდი ოსტატობა, არამედ ნამდვილი მებრძოლის ხასიათი, გამარჯვებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა-ანგარიში გაათანაბრა. ახალი წესების თანახმად, დაინიშნა დამატებითი დრო ერთ-ერთი მეტოქის მიერ პირველი ქულის მოპოვებამდე. აქ კი შედრკა ამერიკელი, მესამე გაფრთხილება "დაიმსახურა" პასიური ჭიდაობისათვის... მსაჯებმა ჩემპიონად ქართველი მოჭიდავე გამოაცხადეს.

... ამ გამარჯვებისაკენ ქართველი მოჭიდავე ცხრა წელიწადს მიიწევდა, მას შემდეგ, რაც პირველად მივიდა ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს სპორტკლუბ «სინათლის" დარბაზში.»

ყველაფერი კი უფრო ადრე, ყრმობაში დაიწყო. 1962 წლის 23 იანვარს დაბადებულ გურამ გედეხაურს, სახელი დეიდამ ნანული მოხევიშვილმა დაარქვა, ცნობილი კალათბურთელის გურამ მინაშვილის საპატივცემულოდ. "პატარაობიდანვე ჩვენთან იზრდებოდა, -- იხსენებს ქალბატონი ნანული, -- მისი დედა მაშინ სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და ბავშვი ძირითადად ჩვენთან იყო. ის ჯერ კიდევ ორი-სამი წლის ასაკში გონიერებით გამოირჩეოდა, მის თვალებში სიბრძნეს ამოიკითხავდი. სკოლაში სწავლის პერიოდში მაღალ ნიშნებს ვერ იღებდა, სამაგიეროდ გამოირჩეოდა

პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით. რაც შეეხება სპორტისადმი მის დამოკიდებულებას, ეს ბავშვობიდანვე ემჩნეოდა. ჩვენ, მოხევიშვილები ყაზბეგიდან ვართ წარმოშობით. ერთხელ ჩასულები ვიყავით სოფელ ფხელშეს სალოცავში მამაწმინდობის დღესასწაულზე. მაშინ გურამი და კობა პატარები იყვნენ, ასე სამი-ოთხი წლის. მამაჩემმა ისინი სალოცავის ახლოს სახელდახელოდ მოწყობილ საჭიდაო მოედანზე აჭიდავა. გურამმა კობა წააქცია. ხალხმა ხელში აიტაცა გურამი და გაიძახოდნენ "მოჭიდავე გამოვა, მოჭიდავე გამოვაო!"

როგორც ვიცით, წუთისოფელში შემთხვევით არაფერი ხდება, მითუმეტეს, სალოცავის კართან. უფლის ნებით და მისივე შეწევნით გედეხაურს თავისი სიტყვა უნდა ეთქვა მსოფლიო სპორტის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ მასზე ღვთის მადლი უკვე გადმოსული იყო, ჯერ კიდევ დიდი და დაუღალავი შრომა სჭირდებოდა, რათა მიეღწია ამ მიზნისათვის.

"ერთხელ ჩემთან მოიყვანეს სართიჭალელი მოზარდი, -- იხსენებს გურამის მწვრთნელი ბატონი თამაზ რეხვიაშვილი, -- რამდენიმე დღის შემდეგ მას სექციაში მოჰყვა მისი თანასოფლელი, მცირე ხანი გადის და ბიჭებმა მორიგ წვრთნაზე კიდევ ერთი თავიანთი ამხანაგი მოიყვანეს...მას შემდეგ მე და გურამი განუყრელები ვართ..."

ამ სართიჭალელ ბიჭებზე მოგვიანებით გურამი იტყვის: "ისინი ჩემი მეგობრები ჯემალ გენგაშვილი და კობა მოხევიშვილი იყვნენ. მათი დაჟინებით მეც გადავწყვიტე ხელი მომეკიდა კლასიკური ჭიდაობისათვის, რომელმაც მთლიანად გამიტაცა."

"ბიჭს არ ჰქონია რაიმე განსაკუთრებული ნიჭი, -- იხსენებს მწვრთნელი, -- მაგრამ გურამი ისე გაიტაცა ჭიდაობამ, რომ ენა არ მიბრუნდებოდა მეთქვა მისთვის - აქ სიარულით დროს ნუ დაკარგავ-მეთქი."

თოთხმეტი წლის გურამი მართლაც სერიოზულად "დაავადდა" ჭიდაობით. ჯერ კვირაში სამჯერ, შემდეგ კი ყოველდღიურად, დარსა თუ ავდარში, იგი სართიჭალიდან თბილისში დადიოდა სავარჯიშოდ. ამგვარმა ჟინმა და ერთგულებამ მალე გამოიღო ნაყოფი და გედეხაურმა პირველი გამარჯვება მოიპოვა, მოიგო ქვეყნის მოსწავლეთა პირველობა. მაგრამ შემდეგ ძნელი პერიოდი დაუდგა; ერთხანს შეჩერდა მისი დაოსტატების ზრდა, სპორტსმენი თითქოს ჩრდილში მოექცა, თუმცა კვლავ მონდომებით ვარჯიშობდა.

"ზოგიერთი ჩემი კოლეგა გურამს უკვე სკეპტიკურად უყურებდა, -- იხსენებს თ. რეხვიაშვილი, -- თვლიდნენ, რომ მასთან მუშაობა დროის უქმად დაკარგვა იყო. მეუბნებოდნენ კიდეც, უფრო პერსპექტიული ბიჭებიც არიან, რაღა გედეხაური ამოიჩემეო, მაგრამ ზედმიწევნით ვიცნობდი ჭაბუკის ხასიათს და ვგრძნობდი საქმისადმი მის კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, ამიტომაც კვლავ მჯეროდა გურამის და რაც მთავარია, თვითონ მასაც ყოველთვის სწამდა, კრიზისს მალე რომ გადალახავდა..."და აი, სულ მალე გურამ გედეხაურის სპორტულ გზას ნათელი მოეფინა. ი. პოდდუბნის პრესტი-ჟულ საერთაშორისო ტურნირზე გამარ-ჯვების შემდეგ, მას-ზე სერიოზულად ალაპარაკდნენ. მო-გვიანებით საბჭოთა კავშირის ჩემპიონა-ტზე 100 კილოგრა-მამდე წონით კატეგო-რიაში იგი მეორე ადგილზე გავიდა ვი-ტებსკელი მსოფლიო ჩემპიონის იგორ კანიგინის შემდეგ, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ ეს ტიტული 90 კგ. წონითს კატეგორიაში მოიპოვა, შემდეგ კი "ასიანთა" კატეგორიაში გადავიდა, თუმცა დიდ გამარჯვებებს საერთა-შორისო ასპარეზზე აქ უკვე ვეღარ აღწევდა. ამიტომაც იყო, რომ მწვრთნელებმა გ. გედეხაური შეიყვანეს ნაკრებში, რომელიც იწყებდა მზადებას ევროპის ჩემპიონატისთვის. მაგრამ იმ ტურნირზე მაინც უფრო გამოცდილი კანიგინი გაემგზავრა....და შინ ხელცარიელი დაბრუნდა-მეხუთე ადგილზე გავიდა. ამრიგად, ავტომატურად გამოირიცხა კანიგინის კანდიდატურა საფრან-გეთში მსოფლიო ჩემპიო-ნატზე მონაწილეობი-სათვის. რჩებოდა კიდევ ერთი პრეტენდენტი-ევროპის ექს-ჩემპიონი,

გროდნოელი ანატოლი ფედორენკო, მაგრამ გედეხაურმა მას ორჯერ მოუგო- ი. პოდდუბნის მემორიალზე და ქვეყნის ჩემპიონატზე ნაკრების მწვრთნელებმა უპირატესობა ქართველ სპორტსმენს მიანიჭეს და ისინი არ შემცდარან.

“მას აქვს უნარი დაძლიოს სიძნელეები, ირწმუნოს თავისი შესაძლებლობები, არ შეუშინდეს ავტორიტეტებს, -- ამბობს თ. რეხვიაშვილი. -- ყოველივე ამას მან მიაღწია სიმტკიცის, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობითა და უსაზღვრო შრომისმოყვარეობით. დიახ! შრომისმოყვარეობაც ნიჭია!.... დარწმუნებული ვარ, გურამისთანა შვილს ყველა მშობელი ინატრებს. სწორედ ასეთი უნდა იყოს ნამდვილი ქართველი ახალგაზრდა, ზრდილი, თავაზიანი, შრომისმოყვარე.”

ასეთი აღზარდეს იგი მისმა მშობლებმა ეთერი მოხევიშვილმა და ირაკლი გედეხაურმა. გურამს ყოველთვის ახსოვს მამის შეგონება: “გახსოვდეს, შვილო, ამიერიდან შენს თავს აღარ ეკუთვნი, შენს უკან დგას საქართველო, მისი სორტული პრესტიჟი.” დედა, ქალბატონი ეთერი იხსენებს: «ბავშვობიდანვე დიდი ადამიანივით აზროვნებდა, სიკეთით სავეს, გამორჩეული და გონიერი იყო. ცელქი არ ყოფილა. იმდენად დინჯი და ჭკვიანი იყო, რომ ბავშვს ბავშვებსაც კი უტოვებდნენ ხოლმე. სწავლაში პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა ჰქონდა. სპორტულ შეკრებებზე რომ დადიოდა, შემდეგ სკოლაში მისვლის სცხვენოდა, იტყოდა ხოლმე: «ამდენი გავაცდინე და ჩამოვრჩი სწავლაში თანატოლებსო. ბოლოს წიგნები შეკრებებზე დაჰქონდა, რომ ეს დანაკარგი აენაზღაურებინა».

ჭეშმარიტი სპორტსმენები ასეთნი არიან. ცხოვრებაში ისინი მშვიდ და ზრდილ ახალგაზრდებად გვევლინებიან, სარბიელზე კი უმალ იცვლებიან და დაუნდობლები ხდებიან. აი რას წერდა მის შესახებ სპორტის ამ სახეობაში მისი წინამორბედი მსოფლიოს ჩემპიონი მიხეილ სალაძე: “მომწონს გურამის ბრძოლის მანერა, მას ხალიჩაზე ლამაზად უჭირავს თავი, აქტიურია და ყოველთვის ცდილობს მეტოქეს თავისი სტილი მოახვიოს თავს. ძლიერია, თანასწორი არა ჰყავს ძალისმიერ შეტაკებაში. ტაქტიკურად გონივრულად წარმართავს ორთაბრძოლას....”

გურამს სართიჭალის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო. არც არის გასაკვირი გედეხაურები ხომ ისტორიულად ივრისპირელები არიან. “სიონის ზღვის” შექმნამ ჯერ კიდევ გურამის პაპას მიხეილს დაატოვებინა მშობლიური სოფელი ჯიხო და საცხოვრებლად სოფელ ლელოვანში დაასახლა. ქართული მიწის სიყვარულმა ფშაველი კაცი ადვილად შეაგუა ხევსურების სოფელს, მაგრამ შვილებმა ბარში ჩამოსახლება არჩიეს. ირაკლი გედეხაურმა არ მიატოვა ივრის ხეობა და თიანელი “ემიგრანტებით” დასახლებულ სართიჭალას ეწვია. გურამსაც ძალიან უჭირდა სოფლიდან შორს ყოფნა და არც არავის გაჰკვირვებია, რომ იგი 1991 წელს სართიჭალის გამგებლად დანიშნეს. როგორც სჩვეოდა გულიანად დაიწყო საქმიანობა. არ ზოგავდა ძალას და ენერგიას, რომ სოფლისათვის სასიკეთო საქმეები გაეკეთებინა. მისი იდეა იყო სოფლის გაზიფიცირება. ამ მიზნით შეისყიდა ძვირადღირებული გაზის გამანაწილებელი კარადა. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სკოლებისა და საბავშვო ბაღების კეთილმოწყობის საქმეს. სიონის უბნის სკოლაში სპორტული მოედნები არ ფუნქციონირებდა გამუდმებული ტალახის გამო. გურამმა უმოკლეს დროში უზრუნველყო იქ ასფალტის საფარის დაგება.

გურამის გამგებლად მუშაობის დროს ქვეყანაში შეიქმნა პურის და სხვა სასურსათო საქონლის დეფიციტი. კაბინეტში მას ბევრი გაჭირვებული თანასოფლელი აკითხავდა. პირადი დამხმარე მეურნეობიდან ყველის რეალიზაციით მიღებულ ფულს ურიგებდა მათ. უანგაროდ გაანაწილა ეგრეთწოდებული “ხუთსართულიანების” ბინები. თავშესაფარი მისცა ყველა გაჭირვებულს. რაიონის კორუმპირებული ჩინოვნიკები, რომლებიც ბინების განაწილებიდან “მსუყე ლუკმას” ელოდნენ, პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ და ამის შემდეგ მაინცდამაინც გულზე არ “ეხატებოდათ” სართიჭალის წესიერი გამგებელი. ალბათ,

ამით იყო გამოწვეული ის ფაქტიც, რომ როდესაც გურამმა მიწის ნაკვეთის გამოყოფა მოითხოვა, 1500 კვადრატულ მეტრზე მეტი არ მისცეს, იმ მიზეზით რომ აქ არა ხარ ჩაწერილი და მეტი არ გეკუთვნისო.

ასე დაივიწყეს ზოგიერთმა "ძალად კაცებმა" გურამ გედეხაურის დამსახურება.

მინდა გავახსენო მათ, რომ როდესაც გურამი ოლიმპზე იდგა და მას "დაფნის გვირგვინი" უმშვენებდა თავს, "ზედა ეშელონებში" სათანადო მატერიალური დაინტერესებებით სთხოვდნენ, რომ მისი გვარის გასწვრივ საინფორმაციო საშუალებებში დაწერილიყო "თბილისელი". მან კი უარი თქვა ფუფუნებაზე, ისევ სართიჭალელობა არჩია და მისი სართიჭალელობა მოედო კიდეც მთელ მსოფლიოს....

აი ეს არის ვაჟასეული "კაცობის გვირგვინი"....

ასეთი კეთილშობილური და პატრიოტული ნაბიჯის გადაგმა ბევრმა სისულელედ ჩათვალა....

არც იყო გასაკვირი. საქართველოში ხომ ანტიქრისტეს უმზადებდნენ ტახტს.

გურამ გედეხაურმა თავისივე სურვილით დაანება თავი გამგებლობას, რაც ჩვენ დროში იშვიათი შემთხვევაა და იმავე წელს არჩეული იქნა საქართველოს გაერთიანებული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტად. აქაც თავისი ჩვეული პატიოსნებით და მონდომებით შეუდგა საქმიანობას. შემდეგ კი, როგორც ბევრი სახელოვანი მამულიშვილი, გაუკუღმართებული ცხოვრების გამო, ისიც დაადგა უცხოეთის გზას და მას შემდეგ მოღვაწეობს მოსკოვში ერთ-ერთ მრავალდარგოვან ფირმაში. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. არის მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი. ისევ აგრძელებს ქველმოქმედებას თავისი სამშობლოსა და თანამემამულეების დასახმარებლად.

დღეს ძალიან ცოტანი არიან ადამიანები, ვისაც ზურგზე "კაცური ტვირთი" ადევთ. ის იმდენად მძიმეა, რომ თუ ადამიანი ღმერთისკენ არ მიისწრაფვის, მის ტარებას ვერ შესძლებს.

აქ მოვიშველიებთ თბილისელი "კოლორიტის" გიზო ნიშნიანიძის სიტყვებს.

"ვინც სიყმაწვილის ელვარე სანათლებში,
სულ სხვა ელვარებით ელავს,
ვინც დაგვყვა აკვანში,
ვინც აგვყვა აკვნიდან
და ვინც ჩვენს სულში ღელავს,
ვინც კაცობა მოგვცა და ზედ ტვირთი აგვკიდა--
ყველას გაუმარჯოს, ყველას!!!!!"

* * *

«ქართული ენა ლაზარეა ყველა ენებს შორის,
იგი პირველადი ენაა, მთავარი ენაა,
ისევე როგორც ლაზარე-იოანე იყო
მთავარი მოციქული იესო ქრისტესი,
მოწაფე, რომელიც უყვარდა იესოს და
რომელიც იყო მისი უახლოესი სულიერი მეგობარი.
იგი იყო ამავე დროს ძეობილი ღვთისმშობლისა,
ისევე, როგორც საქართველო - ღვთისმშობლის წილხვდომილი.»

ეპისკოპოსი იოანე-იონა ბრძანებს:

«აჰა დადგა ჟამი აპოკალიფსური სიფხიზლისა! მოვიმარჯვოთ სულის კანონი ჭეშმარიტების დასამკვიდრებლად, რაც ნიშნავს საღვთო წინსვლას ერის საკეთილდღეო სიბრძნით, სიყვარულითა და მშვიდობის მყოფელობით....

ერი ხარ?
ღმერთი უნდა გყავდეს!
ღმერთი გყავს?
კანონს უნდა აღასრულებდე!...

ღმერთი უპირველესად კანონია, შემდგომ კი სიყვარული. ვინც იქადაგებს მხოლოდ სიყვარულით გადარჩენას, რომელშიაც არ იგულისხმება თვით კანონის აღსრულება, ერის მესაფლავეა.» (გვ. 249)

ჩვენი სოფლის, სართიჭალის მოსახლეობას დღეს ყველაზე ძალიან ესაჭიროება სიყვარული ღვთისა და აღსრულება უფლის მიერ დაწესებული კანონებისა, რადგან ყველამ ვიცით, რომ ბოლო ჟამში ვართ და დიადი ამბების მომსწრე უნდა გავხდეთ. თუ რატომ უნდა განვითარდეს სართიჭალაში ახალ აღთქმაში აღნიშნული მოვლენები, ამის შესახებ ჩვენ ჩვენი შეხედულება გვაქვს. შეიძლება ეს ვერსია მეცნიერულად მცდარი იყოს, ზოგს სახეზე ღიმილიც მოჰგვაროს, მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს მის შესახებ არ ვისაუბროთ.

სართიჭალაში მოედინება მდინარე იორი. ამ სახელწოდების შესახებ, გარდა მთაზე მდგარი უფლისწულის მიერ თქმული სიტყვებისა "ალაზანმა იორაო", სხვა ვერსია არ გაგვაჩნია. "სართიჭალის კოლორიტების" პირველ ნაწილში აღნიშნულია "იორი-ივრის" შესახებ, ანუ საუბარია ივრის ნაპირებიდან ურების გადაადგილებაზე, რომლებიც შემდეგ შუამდინარეთიდან, ქანაანის ქვეყანაში დასახლდნენ და არ არის გამორიცხული, რომ ისრაელის მთავარი მდინარესათვის მათ ეწოდებინათ იორდანე, თავიანთი ძველი ნაფუძრის მდინარე იორის გამო, ხოლო დანი კი იაკობის ერთ-ერთი შვილის სახელია. იორი-იორ-დანი.

არც ის არის გამორიცხული, რომ ივრის და სხვა ქვემოთ დასახელებული სახელწოდებები, ნაბუქოდონოსორის მიერ ისრაელის აწიოკების შემდეგ, საქართველოში უკვე გასემიტებული ურების (ქართველების) დაბრუნების დროს იქნა შერქმეული.

ებრაელებს მხოლოდ ქართველები ვუწოდებთ "ურიას". ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ისინიც ქალაქ ურიდან შემოვიდნენ საქართველოში? როგორც ცნობილია ძვ. წ. 2125 წელს შუმერი სემიტებმა დაიპყრეს. ცხადია შუმერთა გარკვეული ნაწილი ადგილზე დარჩებოდა და დროთა განმავლობაში გასემიტდებოდა, მაგრამ შემდგომ მაინც ხდება მათი შუამდინარეთიდან წასვლა. ამასთან ხდება მსოფლიოში პირველი შუმერული (ქართული) ანბანის სემიტების მიერ დამდაბლება და მითვისება. ძვ. წ. 1800-1750 წლებში აბრაამი მიდის შუამდინარეთიდან და მკვიდრდება ქანაანს. გავბედავ და ვიტყვი, რომ არ არის გამორიცხული, რომ ებრაელთა მამამთავრები

აბრაამი, ისააკი, იაკობი, იესე, დავითი, სოლომონი გაებრაელებული, პროქართული (შუმერული) წარმოშობის იყვნენ. იქნებ სწორედ ამ ისტორიული სინამდვილიდან მომდინარეობს ბაგრატიონთა ებრაული წარმომავლობის ვერსია, ისინი ხომ ოფიციალურად «იესიან-დავითიან - სოლომონიანებად" იწოდებოდნენ.

ამგვარად, ებრაელები გასემიტებული შუმერები უნდა იყვნენ და არა სუფთა სისხლის სემიტები.

ჩვენ კი ისევ დავუბრუნდეთ ძვ. წ. VI საუკუნეში, ნაბუქოდონოსორის მეფობის დროს, სამშობლოდან გამოქცეულ ურებს (ქართველებს). საქართველოს ძველი დედაქალაქის, მცხეთის მამასახლისმა ისინი არაგვის ხეობაში დაასახლა. ამ ფაქტით თავის დროზე დაინტერესებულა ცნობილი მკვლევარი მოსე ჯანაშვილი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ახალი ტოპონომების წარმოშობაზე: «და იმ ადგილას, საცა მოსული მოდგმა დასახლდა, დაერქვა ზანავი. ჩვენ გვგონია, ეს მოსული მოდგმა ურიას ტომისა კი არ იყო, არამედ მეგრელთა გვარისა. სახელდობრ მეგრელნი. ამ მეგრელთ სვანები უწოდებენ ზან-ს და ზანავი მიგვაჩნია ამ ზანების სამშობლოდ. ამ შემთხვევაში ურიასტანად უნდა ჩაითვალოს ურ-ქალდთა ქვეყანა, რომელიც ვანის წარწერების წამკითხველების ფიქრით ქართველებს უნდა დაეტოვებინათ სწორედ მეექვსე საუკუნეში, ე.ი. მაშინ, როდესაც ზანები, ანუ ზანავები წამოვიდნენ მცხეთას. ზანავად იწოდება აგრეთვე სოფელი და ხეობა ბორჯომის ახლოს, ხოლო იმერეთის სოფელი საზანო ნიშნავს სამეგრელოს (საზან-ო).

ჩვენ ესრეთ აზრს სიმტკიცეს აძლევს ის გარემოებაც, რომ ევფრატის მარჯვენა ნაპირზე პალესტინამდის იგი ქვეყანა, რომელსაც ეწოდებოდა აგრეი, ანუ აგარენი (აგრაი-სოფელი ზემო სვანეთის კალის თემში), ხოლო ეგური, ეგრისი, აგრუა (აფხაზურად) და აგრი (სტრაბონით) არის სახელწოდება მეგრელებისა». ("საქართველოს კალენდარი", 1904 წ. გვ. 97-98).

ახლა კი, ამ ისტორიულ ფონზე, განვიხილოთ სართიჭალა და მისი შემოგარენი.

ტოპონიმების მიხედვით ისტორიული ექსკურსის გაკეთება ერთმა შემთვევამ დაგვავიწყებინა. ახლობელი ქალბატონი, რომელიც მეზობელ სოფელში ცხოვრობს, ერთ ქარიან დღეს სამსახურში მიდიოდა. უეცრად ფეხზე ქარისაგან აფრიალებული ქაღალდი შემოეხვია. ქალბატონმა ქაღალდი ფეხის გაქნევით მოიცილა. რამდენიმე წამში ქაღალდი ისევ მიეკრა ფეხზე, ისევ მოიცილა. ცოტა ხნის შემდეგ ქარისაგან აფრიალებული იგივე ქაღალდი უკვე მკერდზე მიეკრა. ქალმა ხელში აიღო იგი, დახედა და აღმოჩნდა საეკლესიო რუკა, რომლის ფრაგმენტი მოცემულია წიგნში.

როგორც ხედავთ სართიჭალის გარშემო მრავალი ისტორიული ძეგლია განლაგებული. რუკის მასშტაბების სისწორეში რომ დავრწმუნებულიყავით, გავემართეთ ყაზანიანის მთისკენ, რომლის ძირშიც, ივრის ხეობისაკენ, უნდა ყოფილიყო მცხეთის გორაკზე აშენებული ეკლესია სვეტიცხოველი. მარშრუტის გავლის შემდეგ, რუკის სიზუსტე დადასტურდა და ადგილზე დაგვხვდა ბაზილიკური ტიპის ტაძარი, დაახლოებით 5მX6მ. შემდეგ დავიწყეთ სართიჭალის

მახლობლად ნაჩვენები სიონის მთის ძებნა. აღმოჩნდა, რომ სიტყვას როგორც ჩანს ცვლილება განუცდია და სიონის მთას ახლა სასიანო ანუ სასიონო მთას ეძახიან.

სართიჭალიდან მოშორებით არის აგრეთვე ხორების მთა. ამ ადგილებს აღნიშნულ სახელებს ჩვენი წინაპრები შემთხვევით არ დაარქმევდნენ, როგორც შემთხვევით არ არის აშენებული სართიჭალაში წმინდა ლაზარეს სახელობის ტაძარი.

კიდევ ერთხელ წავიკითხოთ სახარება: “მოაშორეს ლოდი მღვიმეს, სადაც ესვენა მკვდარი. ხოლო იესომ ზეცად აღაპყრო თვალნი და თქვა: მამაო, გმადლობთ, რომ ისმინე ჩემი.

მე კი ვიცოდი, რომ ყოველთვის ისმენ ჩემსას, მაგრამ ეს ირგვლივ მდგომი ხალხისთვის ვთქვი, რათა ირწმუნონ, რომ შენ მომავლინე.

ეს რომ თქვა, ხმამაღლა დაიძახა: ლაზარე, გამოდი გარეთ!

და გამოვიდა მკვდარი, სახვევით ხელ-ფეხ შეკრული და სახეშესუდრული. უთხრა მათ იესომ: გახსენით იგი და გაუშვით, წავიდეს (იოანე 11, 41-44).

იოანე-ზოსიმეს მიხედვით ლაზარე ქართული ენაა -»და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან.” თუ კი ქრისტე ლაზარეს სტუმარია, იგი ქართული ენის სტუმარია. უფალი, მეორედ მოსვლისას, როდესაც ლაზარეს აღადგენს, იგი ქართულ ენასაც აღადგენს და მას დაუბრუნებს მსოფლიო მნიშვნელობას, როგორც კაცობრიობის პირველ ენას. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ სიტყვა “ლაზარე” ასოთა ციფრების მიხედვით 144-ს შეადგენს:

ლ(30) + ა(1) + ზ(7) + ა(1) + რ(100) + ე(5) = 144.

«და გავიხედე და აჰა, კრავი, სიონის მთაზე მდგომარე და მასთან ას ორმოცდაოთხი ათასი, რომლებსაც შუბლზე აწერიათ მისი და მამის მისის სახელი.

და მომესმა ხმა ზევით, როგორც ზათქი მრავალი წყლისა და როგორც ხმა გვრგვინვის, და მომესმა ხმა მეჩანგეთა, რომელნიც უკრავდნენ თავიანთ ჩანგებს.

და გალობდნენ ახალ საგალობელს ტახტის წინაშე, და ოთხი ცხოველისა და ხუცესთა წინაშე, და ვერავინ შესძლო ამ საგალობლის სწავლა, გახდა ას ორმოცდაოთხი ათასისა, ქვეყნისგან გამოსყიდულის. (გამოცხ. 14. 1-3).

ლაზარეს აღდგინება მოხდა ბეთანიაში. «ხოლო ბეთანია იერუსალიმის ახლოს იყო, თხუთმეტიოდე უტევანის მანძილზე” (იოან. 11,18). ე.ი. იერუსალიმში მდებარე სიონის მთა ლაზარეს აღდგინების ადგილიდან თხუთმეტიოდე უტევანის, ანუ 2775 მეტრის, მანძილზე მდებარეობს. (ერთი უტევანი-185 მ.) როგორც გაირკვა სართიჭალის წმიდა ლაზარეს სახელობის ტაძრიდან, სართიჭალასთან მდებარე სიონის (სასიონო) მთამდე 2775 მეტრია. ე.ი. ლაზარე (144) მაცხოვართან ერთად სიონის მთაზე უნდა გამოჩნდეს. «ბიბლიური ენციკლოპედიის” (თბ. 1998 წ.) განმარტებით- «ბეთანია . . .მდებარეობს ელეონის მთის საპირისპირო მხარეს....” (გვ. 255). მართლაც სართიჭალიდან და სიონის მთიდან კარგად მოჩანს იალონის (იალნოს) მთა.

იალონის (იალნოს) მთის გასწვრივ, მდინარე ივრის გაღმა, მდებარეობს ხორების მთა.

“ხალხს წყალი სწყუროდა, უჩიოდა ხალხი მოსეს და ამბობდა: რისთვისღა ამოგვიყანე ეგვიპტიდან, თუ წყურვილით დაგვხოცავდით ჩვენც, ჩვენს ბავშვებსაც და საქონელს?

ასე შეჰღაღადა მოსემ უფალს: რა ვუყო ამ ხალხს? ცოტაც და ჩამქოლავენ.

უთხრა უფალმა მოსეს: ჩაიარე ხალხის წინ და თან ისრაელის უხუცესთაგანი იახლე; ხელში გეჭიროს კვერთხი, რომელსაც სცემდი ნილოსს და იარე.

მე ვიდგები შენს წინ იქ, ხორების კლდეზე; დაჰკარი კლდეს და გამოვა წყალი, და დალევს ხალხი. ასეც გააკეთა მოსემ ისრაელის უხუცესთა თვალწინ.

უწოდა სახელად იმ ადგილს მასა და მერიბა ისრაელიანთა შუღლის გამო და იმის გამო, რომ უფალი გამოცადეს, როცა თქვეს: = «არის თუ არა ჩვენს შორის უფალი?” (გამ. 17, 3-7).

“უთხრა უფალმა მოსეს და აარონს: იმის გამო, რომ არ მერწმუნეთ და წმიდად არ გამომაჩინეთ ისრაელიანთა თვალში, ვერ შეიყვანთ ამ კრებულს იმ ქვეყნად, რომელიც მათთვის მაქვს მიცემული.

ეს არის მტრობის წყალი, სადაც ედავებოდნენ ისრაელიანები უფალს და რითაც წმიდად გამოჩნდა იგი.” (რიცხ. 20, 12-13).

ამის გამო უფალმა ისრაელიანებს ომი მოუვლინა ყამალექთან.

“როცა ხელს აღმართავდა მოსე, ძლევდა ისრაელი. როცა დაუშვებდა ხელს, ყამალექი ძლევდა” (გამ. 17.11).

ე.ი. როცა უფალს სურდა სიწმიდე შემოქონდა ისრაელიანებში, ხოლო, როცა ხალხი მის ნებას არ მიჰყვებოდა-ამღვრევდა ყველაფერს. ხორების მთიდან გამოსული წყლები სამებისა და ლაფიან-ხევების გავლით ხშირად ამღვრევს იორს-იორდანეს.

«და ყველანი ერთსა და იმავე სულიერ სასმელს სვამდნენ; ვინაიდან სვამდნენ სულიერი კლდისაგან, რომელიც მიჰყვებოდა მათ, ხოლო ეს კლდე იყო ქრისტე.” (1კორ. 10,4)

თავად უფალი სიმონს უწოდებს პეტრეს ანუ კლდეს, ხოლო დავითის ფსალმუნი გვიგალობს - «მომაპყარ ყური შენი, სწრაფად გადამარჩინე. იყავ ჩემთვის კლდე-ბურჯი, ციხე-სიმაგრე ჩემს დასახსნელად, რადგანაც ჩემი კლდე და ბურჯი ხარ” (ფსალ. 30,3-4).

დიახ, უფალი იესო ქრისტე-კლდეა, ისე როგორც მაცხოვრის მიერ სახელდებული სიმონ-პეტრეა კლდე, ოღონდ ისინი სხვადასხვანი არიან, უფალი იესო ქრისტე-ღმერთია, ხოლო პეტრე მისი ერთ-ერთი მოციქულთაგანი.

ხორების მთიდან მომდინარე ღვთიური წყალი, ნათლისმცემლის ეკლესიის გავლით, იორში ჩაედინება და მალამოდ ედება წმინდა ნინოს, დავით გარეჯელის და ანტონ მარტომყოფელის მადლით აღსავსე კუხეთის ველებს.

ხედავ პატივცემულო მკითხველო, ისრაელისა და სართიჭალის მიდამოებში რამდენი რამ ემთხვევა ბიბლიაში აღნიშნულ სახელწოდებებს:

წმინდა ლაზარეს სახელობის ტაძარი.

სიონის მთა.

იალონის (იალნოს) მთა.

ხორების მთა.

ნათლისმცემელი.

იორი-იორდანე.

რატომ არის სართიჭალასა და მის შემოგარენში ამდენი წმინდა ადგილი? რატომ ცხოვრობდა აქ ადამიანი უძველესი დროიდან?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემისათვის და მითუმეტეს მისი გაანალიზებისათვის ბევრმა შეიძლება თავი არ შეიწუხოს და კიდევ გავიმეორებ- ღიმილიც კი მოადგეს სახეზე. მათ ოთხ შეკითხვას დავუსვამთ:

1. რატომ ააშენეს სართიჭალაში საკავშირო მნიშვნელობის რადიოსადგური, რომელიც საზღვარგარეთის გადაცემებს ახშობდა?
2. რატომ იყო განლაგებული სართიჭალაში საიდუმლო კოსმოსური კავშირგაბმულობის სამხედრო ნაწილი და კოსმოსში გაფრენამდე რატომ გადიოდა ყველა კოსმონავტი სართიჭალის სამხედრო ნაწილში წვრთნას?
3. რატომ იდგა ცივ გომბორის ქედზე, წლების განმავლობაში ბურთის მაგვარი შენობა?
4. რატომ იდგა მაინცდამაინც სასიონო (სიონის) მთაზე სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები?

პირველ სამ კითხვაზე პასუხი ერთია: ჩვენი წინაპრები დედამიწაზე ღვთის მიერ იქნენ მოვლენილნი, ისინი ახლოს იყვნენ უფალთან და ამიტომ სახლდებოდნენ ისეთ ადგილებში, სადაც სამყაროში გასასვლელი იყო. კომუნისტებმა ეს ყველაფერი შესანიშნავად იცოდნენ და ამიტომ ააშენეს სართიჭალასა და მის შემოგარენში ზემოთ დასახელებული ობიექტები. აქ არსებული სამყაროში გასასვლელის გამო, კოსმოსიდან შესაბამისი სიგნალების მიღება გაადვილებული იყო.

ყველა ადამიანს შეუძლია ამის განცდა. სართიჭალის წმიდა ლაზარეს სახელობის ეკლესიაში გულით აღვლენილი ლოცვა უსწრაფესად მიდის უფალთან.

რაც შეეხება მეოთხე კითხვის პასუხს, როდესაც კომუნისტებმა სასიონო (სიონის) მთიდან გადმოიხედეს და დაინახეს, რომ იქიდან ყველაფერი კარგად ჩანდა, თან სოფელთან ახლოს იყო, თავიანთი აბსურდული ლოზუნგის ერთგულებმა («იაფად და ხარისხიანად”) მაშინვე დაამონტაჟეს სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები წმინდა მთაზე და როგორც კი ოდნავ მოიღრუბლებოდა, ისეთი მონდომებით ესროდნენ უფლის სასუფეველს ფეთქებად ბომბებს, რომ ზოგჯერ, ასევე ღმერთის საწინააღმდეგოდ ახალი წლის ღამეს ატეხილი სროლა, მოგონილიც კი იყო. ამიტომ სეტყვა სართიჭალასა და მის შემოგარენს ხშირად «სტუმრობდა”. როგორც კი წმინდა მთიდან ეს ჯოჯოხეთის აპარატურა მოაცილეს, ხოლო სართიჭალის წმინდა ლაზარეს ეკლესიაში წირვა-ლოცვა დაიწყო, სართიჭალელებსა და მეზობელი სოფლების მოსახლეობას სეტყვა «მოენატრათ” კიდეც.

სართიჭალის სიონის მთა წმიდა ადგილია, ამიტომ ანტიქრისტეს მიმდევრების მიერ იგი ყოველთვის შეურაცხოფილი იყო. სართიჭალაში «მოსულების” (არასართიჭალელ ხელმძღვანელებზეა საუბარი) ერთ-ერთმა «ლიდერმა” ეს მთა სართიჭალელებს წაართვა და ხაშმელებს ჟატის ტყის გარკვეულ მონაკვეთში გაუცვალა. ბოლოს სოფლისათვის ტყეც დაიკარგა და მთაც.

როდესაც ვსაუბრობთ სართიჭალის შემოგარენზე, არ შეიძლება რომ გვერდი ავუაროთ მეზობელ სოფელ ნინოწმინდაში მდებარე წმიდათა წმიდა ადგილს, სადაც ჩვენი აზრით დასაფლავებულია მოციქულთა სწორი წმიდა ნინო. შეიძლება ზოგს ეს შეხედულება მცდარი ეგონოს, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ წმიდა ნინოს საფლავი ბოდბეშია. ისტორიული წყაროები კი გვამცნობენ, რომ ეს ასე არ არის. კერძოდ, მ. საბინინის წიგნში “საქართველოს დიდება”, რომელიც კრებულია უძველესი ისტორიული ხელნაწერებისა, ვკითხულობთ:

“თავი: წიგნი, რომელი მიუწერა პატრიარქმან ჰრომისაგან და

ბრანჯთა მეფემან ნინოს და მეფესა და ყოველთა ერთა ქართლისათა.

... ქრისტეს ამაღლებიდთგან სამას ოცდა მეთრუამეტესა წელსა დასაბამითგან წელთა ხუთიათას შვიდას მეოცდაათთრუამეტსა. მაშინ შეიძრნეს ორნივე ესე ქალაქნი, მცხეთა და უჯარმო და ყოველი ქართლი მიცუალებასა მისსა, მუნ მოვიდოდეს სიმრავლე ერისა ფრიადისა და ურთიერთას დასთრგუნვიდეს, რათა შეეხნენ ფესუსა სამოსლისა მისისასა; ხოლო მეფემან ძლით დააცხრო შფოთი იგი ერისა და განიზრახა რათა გუამი მისი აღიყვანოს და დაკრძალოს მახლობლად სუეტისა ცხოველისა და ვითარცა ხელ ჰყვიან აღებად გუამისა მის წმიდისა, ხელნი მათნი უქმ იქმნიან და ყოვლად ვერ უძლიან შეძვრად, მაშინ გულის ხმა ჰყუეს <u>და დაკრძალეს მასვე ადგილსავე ზედა კუხეთს, დაბასა ბუდისასა, რამეთუ მუნ ითხოვა თვით დაფლვა მეფისაგან.</u> (ხასგასმა ჩემია ი.ს.) შეხედვებითა ღუთისასა და სიმდაბლისათვის ქმნა ესე წმიდამან, რამეთუ ადგილი იგი შეურაცხ იყო. და მწუხარე იყო მეფე და ყოველნი წარჩინებულნი მუნ დაფლვასა მისსა, არამედ მცნებისა და ანდერძისა მისისა აღსრულებისათვის და ჰფლეს მუნ და ეკკლესია აღუშენეს და ეპისკოპოზი განაჩინეს მას ზედა ესრეთ პატივით

და კრძალულებით პატივსცეს წმიდასა და ნეტარსა და განმანათლებელსა ქართლისასა, კახეთისასა და ჰერეთისასა სამგზის სანატრელსა ღუთივ დიდებულსა ნინოს...” (გვ. 151-152).

აქ ჩვენ უნდა განვასხვავოთ ქალაქი ბუდე და დაბა ბუდი. როგორც ჩანს დაბა ბუდი ახლანდელი ნინოწმინდაა, რომელიც ნამდვილად განეკუთვნება კუხეთს «..და დაკრძალეს მასვე ადგილსავე ზედა კუხეთს, დაბასა ბუდისასა....”

რაც შეეხება სოფელ ბოდბის ხევს, რომელიც ოფიციალურად ითვლება წმინდა ნინოს საფლავის ადგილსამყოფელად, მ.საბინინის «საქართველოს დიდებაში” ასე მოიხსენიება:

«თავი: მოთხრობა აბიათარ მღუდლისაგან [2] კუართსა თვის საუფლოსა თუ ვითარ მუგუენიჭა.

ჰეროდეს მეფობის დროს იერუსალიმში ჰურიათა შორის იყვნენ ქართველი მცხეთელი მკვიდრნი, ბუდელთა მღვდელნი....

... ბუდე იყო ფრიად დიდი ქალაქი ქიზიყის საზღუარში, რომელსა შინა სცხოვრობდნენ ურიანი, მწიგნობარნი და მეცნიერნი მათნი, აწ მაგიერ ქალაქისა ჰსდგას ბოდბის ხევის სოფელი ფრიად დიდი (გვ. 76). ქიზიყის სიდიადეს ატრაბონიც გვამცნობს, რის შესახებაც ჩვენ საუბარი გვქონდა “სართიჭალის კოლორიტების” პირველ წიგნში: «იქ მდებარეობდა დიდი ტაძარი, რომელსაც და აგრეთვე მის კუთვნილ მჭიდროდ დასახლებულ მამულსაც მეფის მეორე კაცი-ქურუმი განაგებდა” (გვ. 40).

წმიდა ნინოს მოღვაწეობის პერიოდში ბოდბის ხევში ცხოვრობდა გარე კახეთის დედოფალი სუჯი. ქართლის გაქრისტიანების შემდეგ, წმიდა ნინო გაემგზავრა ბოდბის ხევში. “საქართველოს დიდებაში” ვკითხულობთ: «სანატრელმან დედამან ჩუენმან ნინომ გააბრწყინვა სახარებითა სრულიად ქართლი, თანა ჰსწორი ანგელოზთა წარემართა კახეთს მღუდელითურთ, დაიბანაკა ბუდის (ხაზგასმა ჩემია ი.ს.), სადაც აწ კრების ეკკლესია მისი არს და წმ. საფლავიცა. აქედამ წარემართა ბუდეს (ხაზგასმა ჩემია ი.ს.), უქადაგა დედოფალს და ყოველსა სახლასა მისსა წმ. სახარებაი....” (გვ. 106).

აღნიშნული კვლავ ადასტურებს, რომ ბუდი და ბუდე სხვადასხვა ადგილია. აგრეთვე:

“თავი: აღმართებისათვის პატიოსნისა ჯუარისა.

მაშინ უბრძანა ნეტარმან ნინო, «წარიხუენით ორნივე ესე ჯუარნი და აღმართენით ერთი თხოთს, სადა იგი ღმერთმა გახილვა ძალი მისი და ერთი მიეც სალომეს მხევალსა ქრისტესსა და აღმართოს უჯარმოს ქალაქსა: რამეთუ ბუდი დაბა კუხეთისა (ხაზგასმა ჩემია ი.ს.) არ წინაღუდგეს ქალაქსა მეფეთასა. რამეთუ ერისა სიმრავლე არს მუნ, ბუდს კულა დაბაი თვით იხილოს სათნო იგი ადგილი ღუთისა” (გვ. 146).

აქაც უჯარმის და ბუდის სიახლოვე ნინოწმინდაზე მიგვანიშნებს. ასე რომ ყველა ზემოთ დასახელებული ისტორიული დოკუმენტების შინაარსიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, სოფელი ბუდი არის ნინოწმინდა, ხოლო მოციქულთა სწორი წმინდა ნინო დასაფლა-ვებულია ნინოწმინ-დაში. ვფიქრობთ და იმედი გვაქვს, რომ ამ ისტორიული ფაქტის გამოკვლევასა და დადასტურებაში ისტორიკოსები თავის სიტყვას იტყვიან. შესასწავლია აგრეთვე ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული ყაზანიანის მთის ძირში, მცხეთის გორაკზე აღმართული სვეტიცხოველის ტაძარიც, რომელიც ნინოწმინდის გასწვრივ

[2] აბიათარ მღვდელი წმინდა ნინოს თანამედროვე იყო. აი რას გვამცნობს--თქმული აბიათარ მღვდლისა, რომელიც დაემოწაფა წმინდასა და ნეტარ ნინოს. “მე აბიათარ მღვდელი, წილისყრით ვმღვდელობდი იმ წელიწადს, როცა წმინდა და ნეტარი ნინო მოვიდა მცხეთაში..” (ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე “საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია” ტ I თბ. 1996წ. გვ 153)

მდებარეობს და ერთგვარი მანათობელია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსისაკენ მიმავალ გზაზე.

სართიჭალის ისტორიის შემსწავლელი ჯგუფის წევრები: დიმიტრი ასათიანი და იოსებ კოლაშვილი ყაზანიანის მთის ძირას მდებარე სვეტიცხოვლის ტაძართან

* * *

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ისმება კითხვა: რა ფუნქცია უნდა შეასრულოს ხორების, იალონის და სიონის მთებმა, ნათლისმცემელმა, წმინდა ლაზარეს სახელობის ტაძარმა, იორი-იორდანემ? პასუხისათვის ისევ სახარებას მივმართოთ: «...იყო ერთი სახლის პატრონი, რომელმაც ჩაყარა ვაზი, ღობე შემოავლო, შიგ საწნახელი ამოკვეთა, ააგო კოშკი, და იჯარით მისცა მევენახეებს, თვითონ კი გაემგზარა.

და როცა რთვლობამ მოაწია, გააგზავნა თავისი მონები მევენახეებთან რათა მოსავალი ჩაებარებინათ მათგან.

ხოლო მევენახეებმა დაიჭირეს მისი მონები, ზოგი სცემეს, ზოგი დახოცეს, ზოგიც კიდევ ქვებით ჩაქოლეს.

ახლა სხვა მონები გაგზავნა, უწინდელზე მეტნი, და მათაც იგივე დამართეს. ბოლოს თავისი ძე გააგზავნა და თქვა: ჩემი ძის მაინც მოერიდებათო.

მაგრამ მევენახეებმა მისი ძე რომ დაინახეს, ერთმანეთს უთხრეს: აგერ მემკვიდრე; მოდით მოვკლათ და მისი სამკვიდრო დავისაკუთროთ.

შეიპყრეს იგი, ვენახიდან გაიყვანეს და მოკლეს.

მერედა, როცა მოვა ვენახის პატრონი, რას უზამს ამ მევენახეებს?

უთხრეს მას: ბოროტად მოაკვდინებს, ხოლო ვენახს სხვა მევენახეებს მისცემს, რომლებიც დროულად ჩააბარებენ მოსავალს.” (მათე 21,33-41).

განრისხებული უფალი ხედავს რა, რომ მისმა რჩეულმა ერმა, ისრაელმა, უარყო ღმერთის მიერ ძის ხელით მიწოდებული ახალი აღთქმა, უფრო მეტიც ღმერთის შვილი ჯვარზე წამებით მოკლა, მევენახეებად ქართველებს ირჩევს, ხოლო საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ხდება. ე.ი. საქართველოა მეორე ისრაელი, ხოლო მცხეთა, სადაც უფლის კვართია დაფლული-მეორე იერუსალიმი. საქართველოში სახარების ქადაგებისათვის ქრისტეს სამი მოციქული შემოვიდა: ანდრია პირველწოდებული, სიმონ კანანელი და მატათია. ქრისტეს აქეთ მეოთხე საუკუნეში, ქრისტიანობის გასავრცელებლად და გასამტკიცებლად, ღვთისმშობელმა საქართველოში მოციქულთა სწორი წმიდა ნინო გამოაგზავნა. ხოლო წმიდა ნინოს დაწყებული საქმე, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა და ღვთისმშობლის შემწეობით დააგვირგვინა ცამეტმა ასურელმა მამამ: იოანე ზედაზნელმა, ზენონ იყალთოელმა, აბიბოს ნეკრესელმა, იოსებ ალავერდელმა, სტეფანე ხირსელმა, დავით გარეჯელმა, ანტონ მარტომყოფელმა, ისე წილკნელმა, თადეოზ სტეფანწმინდელმა, ისიდორე სამთავნელმა, შიო მღვიმელმა, პიროს ბრეთელმა, მიქაელ ულუმბოელმა.

სართიჭალა სამი დიდი წმიდანის საფლავთა სამკუთხედშია მოქცეული: წმიდა ნინოს, წმიდა დავით გარეჯელის და წმიდა ანტონ მარტომყოფელის, რაც იმის მაუწყებელია, რომ აქ განგების ნება უნდა აღსრულდეს. ამიტომ ყველა სართიჭალელმა და არა მარტო სართიჭალელმა უნდა გაითავისოს: «ნუ მისდრკები მარჯულ, ნუცა მარცხულ, არამედ გზასა სამეუფოსა ვიდოდეთ” (2სჯ. 5,29.17.11)

გფარავდეთ უფალი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. В. А. Комбай - “ Сборник упражнений по русскому языку” -Тбилиси 1970 г.
2. В. А. Комбай Н. В. Гелашвили - “ Сборник упражнений по русскому языку” - Тбилиси 1974 г.
3. Тбилисский Государственний Университет - “ Доклады и матерялы международной научной конференции “ Актуальные вопросы филологических наук, “ посвященной 90-летию основателя кафедры русского языка № 2 ТГУ, заслуженного деятеля наук проф. Т. Н. Мревлишвили-Тбилиси 1999 г.
4. В. А. Комбай - “Из опыта преподования русской литературы в грузинской школе” - Тбилиси 2000 г.
5. მ. საბინინი - “საქართველოს დიდება” პეტერბურგი 1882 წ.
6. იოანე-იონა (მურთაზ ჩახავა-ეპისკოპოსი) - “რა უნდა ვაკეთოთ” თბილისი 1994 წ.
7. თეიმურაზ მიბჩუანი - «შუმერულ-ქართული პარალელები” - თბილისი 2002 წ.
8. ა. დოცენკოს, ვ. კომბაის და გ. გედეხაურის არქივები.

ისტორიული დოკუმენტების მოძიებასა და წმიდა ადგილების კვლევის საქმეში დახმარებისათვის, ავტორი მადლობას უხდის ქ-ნ ლ. მეფარიძეს; ბატონებს დ. ასათიანს, ი. კოლაშვილს და ჯ. ჯარიაშვილს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტორისაგან;

ესთერ გიორგის ასული აბდიშიდი-დოცენკო (1897-1981)

სიმონ (სენია) ეფიმის ძე დოცენკო (1887-1954);

ანატოლი (ტოლია) სიმონის ძე დოცენკო (1923-1983);

ვალერიან (ვალერი) ალაის ძე კომბაი (1936-2000);

გურამ ირაკლის ძე გედეხაური;

ეპისკოპოსი იოანე-იონა;

გამოყენებული ლიტერატურა.